პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 47 (11353)
ხუთშაბათი
26
თებერვალი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

**დღეს თბილისში იხსნება საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა.**

**მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს — ჩვენს ძვირფას თანამოკალმეებს!**

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## ქ. მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1959 წ. 24 თებერვალს

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სულით და გულით გადაგიხადოთ მადლობა თქვენ, და თქვენი სახით ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს იმისათვის, რომ აღმომიჩინეთ დიდი [illegible] ნდობად. ჩვენ ეს მიგვაჩნია კომუნისტური პარტიისადმი ხალხის ნდობის გამოხატულებად. ყოველი კომუნისტი ხომ ყოველთვის და ყველაფერში ასრულებს უწინარეს ყოვლისა პარტიის ნებას, და მაშასადამე, ხალხის ნებასაც, რომლის ავანგარდიც არის კომუნისტური პარტია. **(ტაში).**

უმაღლესი საბჭოების, ისევე როგორც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენში ხალხის დღესასწაულია. წინასაარჩევნო კამპანიების დროს ხდება განვლილ პერიოდში საბჭოების მუშაობის შედეგების, დეპუტატთა მუშაობის შედეგების შეჯამება. და, როგორც ყოველთვის, ადამიანები ცდილობენ ასეთ თარიღებს შეხვდნენ საუკეთესო მიღწევებით, აღნიშნონ ისინი შრომითი წარმატებებით.

აი ამ არჩევნებსაც ჩვენი ქვეყანა ხვდება დიდი წარმატებებით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ეს წარმატებანი დაწვრილებით აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე. ეს წარმატებანი თქვენ კარგად იცით და, ვფიქრობ, რომ აქ საჭირო არ არის კვლავ მოგაგონოთ ისინი.

წელს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ეწყობა უშუალოდ ისეთი თვალსაჩინო მოვლენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში, როგორიც არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები შვიდი წლისათვის და განსაზღვრა პარტიის, სახელმწიფოსა და მთელი ხალხის საქმიანობის ამოცანები უახლოესი დროისათვის.

საბჭოთა ქვეყანა ახლა იმყოფება უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მიჯნაზე. იგი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია საწარმოო ძალების მაღალი დონე, განხორციელებულია უღრმესი რევოლუციური გარდაქმნები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენ ახლა არა გვაქვს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ განვახორციელოთ კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ შეიმუშავა. ჩვენმა პარტიამ, მთელმა გმირმა საბჭოთა ხალხმა დიდი საქმეები უნდა შეასრულონ.

ჩვენ უახლოეს შვიდ წელიწადში (1959-1965 წლები) უნდა განვახორციელოთ ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური შესაძლებლობანი, რათა უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წლების მანძილზე იმდენად უნდა განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, რომ გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში და ჩვენი სახელმწიფოს იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. **(ტაში).**

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ [illegible] ლებს უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. **(ტაში.)**

ჩვენი ქვეყანა, სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად შენდება კომუნისტური საზოგადოება, ისეთ სიმაღლეს მიაღწევს, რომ არავის აღარ დარჩება რაიმე ეჭვი კომუნიზმის უპირატესობაში დრომოჭმული კაპიტალიზმის წინაშე. **(ხანგრძლივი ტაში).**

დიადი მიზნის მისაღწევად სასიამოვნოა, ამხანაგებო, კარგადაც ვიშრომოთ. ასეთი შრომა ამაღლებს ადამიანს, ამშვენებს მას; ასეთი შრომა საუკუნეებში შევა, როგორც გმირობა, რომლის ბადალი ისტორიაში არ ყოფილა. **(ტაში).**

კომუნიზმი ახლა შორეული ოცნება კი არ არის, არამედ ახლო ხვალინდელი დღეა. მას ქმნის საბჭოთა ადამიანების მედგარი შრომა და შემოქმედებითი საქმიანობა.

მომავალი თაობები იამაყებენ იმ ადამიანებით, რომლებიც, ააშენეს რა სოციალიზმი, კიდევ უფრო წინ წავიდნენ და თავიანთი თავდადებული, გმირული შრომით ახორციელებენ კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას. და აი ჩვენი დროის ადამიანებმა უნდა შეასრულონ ეს ამოცანა — ააშენონ მსოფლიოში ყველაზე უკეთესი, ყველაზე სამართლიანი საზოგადოება — კომუნისტური საზოგადოება. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! მე უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იშრომებს, როგორ იბრძოლებს თვითეული საწარმოო კოლექტივი, თვითეული საბჭოთა ადამიანი ამ გეგმის შესრულებისათვის. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თვითეულ კოლექტივს, თვითეულ მშრომელს უნარი ჰქონდეს განსაზღვროს თავისი ადგილი და თავისი როლი საბჭოთა ხალხის საერთო ბრძოლაში შვიდწლედის შესრულებისათვის და მტკიცედ მიდიოდეს ერთი ზღუდიდან მეორემდე, ერთი საწარმოო გამარჯვებიდან მეორემდე. კომუნისტური საზოგადოების აშენება განყენებული რამ როდია. ეს არის ბრძოლა იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს საწარმოო გეგმას თვითეული კომბინატი, ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, შემოქმედებითი კოლექტივი, თვითეული მუშა, კოლმეურნე, ინჟინერ-ტექნიკური თუ მეცნიერი მუშაკი, ჩვენი საზოგადოების თვითეული მშრომელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, დაამტკიცა რა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პროგრამა, ამასთანავე განსაზღვრა ამოცანები, რომლებიც ახლა დგას სახალხო მეურნეობის თვითეული დარგის წინაშე, თვითეული რესპუბლიკისა და ეკონომიური რაიონის წინაშე. ახლა საქმე ის არის, რომ გამოვიჩინოთ ნებისყოფა და სიმტკიცე დასახული მიზნის მიღწევაში, ბეჯითად ვიშრომოთ ჩვენი დიადი საქმის გამარჯვებისათვის. **(ტაში).**

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა შემოქმედებითი აქტივობის დიდი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში. ყველა კოლექტივში იმართება კრებები, სადაც საქმიანად განიხილავენ თვითეული ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო თუ საკვლევი დაწესებულების, თვითეული საამქროს, ბრიგადის, ამა თუ იმ საწარმოო უბნის გეგმებს. ამ გეგმებში გამოხატულია საბჭოთა ადამიანების მხურვალე სურვილი უფრო შემჭიდროებულ ვადებში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საერთო ამოცანის გადაჭრაში.

ასეთი აქტივობა ყველა ჩვენგანს ახარებს. იგი იმას მოწმობს, რომ მთელმა საბჭოთა ხალხმა შვიდწლიანი გეგმა მიიჩნია თავის მშობლიურ, მახლობელ საქმედ, მოქმედების საბრძოლო პროგრამად. **(ტაში).**

მაგრამ მე მინდა ყურადღება მივაქციო ისეთ შემთხვევებსაც, როცა ცალკეული ხელმძღვანელები ძალიან სერიოზულად როდი ეკიდებიან თავიანთი გეგმების განხილვას და ვალდებულებათა აღებას. ისინი ივიწყებენ, რომ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ სრულიადაც არა იმისათვის, რომ მათ შესახებ გაზეთში დაწერონ ან ვინმემ შეაქოს ისინი. არა. ვალდებულება კოლექტივის ან ცალკეული ადამიანის მტკიცე სიტყვაა, თუ რას გააკეთებს ეს კოლექტივი, ეს ადამიანი, რა საქმეების გაკეთების უნარი შესწევს მას.

არის ასეთი კარგი რუსული ანდაზა: „შეხვედრა ჩაცმულობის, გაცილება კი ჭკუის მიხედვითო“. თუ ამ ანდაზას სხვანაირად ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის უნარს ახლა ხვდებიან ნაკისრ ვალდებულებათა მიხედვით, ხოლო შეფასება მოხდება ამ ვალდებულებათა შესრულების მიხედვით. **(ხანგრძლივი ტაში).**

რომ არ ვიყოთ მოლაყბენი, არამედ გამოვიჩინოთ ნამდვილი ბოლშევიკი ხელმძღვანელების თვისებები, უნდა შეგვეძლოს სერიოზულად გამოვიანგარიშოთ ყველა შესაძლებლობა, ავწონდავწონოთ ჩვენი ძალები, რათა ყოველმა კოლექტივმა იკისროს ღირსეული სოციალისტური ვალდებულება.

არ შეიძლება, რასაკვირველია, ვიკისროთ შემცირებული ვალდებულებანი, რადგან ძალების შეუფასებლობამ, ამა თუ იმ კოლექტივში არსებულ შესაძლებლობათა არასაკმარისმა გამოყენებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ჩვენს საერთო საქმეს. მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე ვიკისროთ აშკარად არარეალური ვალდებულებანი, რადგან ეს სახელს უტეხს სოციალისტური შეჯიბრების იდეას.

სოციალისტური ვალდებულებანი გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებს და უნდა ემყარებოდნენ თვითეული კოლექტივის, ჩვენი საზოგადოების თვითეული მშრომელის ძალების, უნარისა და შესაძლებლობის ზუსტ აღრიცხვას. თუ იკისრებ ვალდებულებას — აუცილებლად უნდა უზრუნველყო მისი შესრულება, უნარიანად უნდა დარაზმო ადამიანები, გამოიჩინო მაქსიმუმი ენერგია და სიმტკიცე, რომ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იყო, და არა კუდში მიჩანჩალებდე. სოციალისტური ვალდებულებანი ფოლადივით მტკიცე უნდა იყოს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ამ კრებაზე მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესახებ. მათი როლი ჩვენი ქვეყნის ყველა საქმის მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში სულ უფრო იზრდება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები არიან სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოები, სახალხო თვითმმართველობის ორგანოები, მშრომელთა ყველაზე ფართო წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, რომლებიც მათს ნებას გამოხატავენ. „საბჭოები შექმნილია თვით მშრომელების მიერ, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — მათი რევოლუციური ენერგიითა და შემოქმედებით, — მხოლოდ ესაა იმის საწინდარი, რომ ისინი სავსებით მასების ინტერესების განსახორციელებლად მუშაობენ“. (თხზ., ტ. 26, გვ. 396). ჩვენი ქვეყნის შესვლა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში იწვევს საბჭოების საქმიანობის ყოველმხრივ გაძლიერებას.

პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული კურსი, რომ თანდათანობით გადაეცეს სახელმწიფო აპარატის ორგანოთა მთელი რიგი ფუნქციები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ შორის ყველაზე მასობრივსა და ავტორიტეტულს — მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — მომზადებულია თვით ცხოვრებით, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მთელი მსვლელობით. ეს კურსი გამოხატავს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას იმ მაღალი მიზნისაკენ, როცა, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ყველა ადამიანი ისწავლის მართვას და ნამდვილად დამოუკიდებლად მართავს საზოგადოების ყველა საქმეს. ამხანაგებო, აქეთ მიდის ახლა საქმე, ამას მოგვიწოდებს ცხოვრება, ამას მოითხოვს კომუნისტური მშენებლობის ინტერესები.

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების, მასებთან მათი კავშირის განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში მშრომელების უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა საჭიროდ ცნეს მნიშვნელოვნად გადიდდეს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა რიცხვი. ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში განზრახულია არჩეულ იქნას ერთ მილიონ რვაას ათასზე მეტი დეპუტატი. საბჭოებს შეემატება ბევრი ენერგიული, ინიციატივიანი ადამიანი. ეს დიადი სახალხო ძალაა.

დეპუტატი ჩვენს ქვეყანაში მოწოდებულია ხალხის ნებას ასრულებდეს, მის ინტერესებს გამოხატავდეს. საბჭოების დეპუტატთა ძალაა მათი ურღვევი კავშირი ხალხთან. საბჭოების დეპუტატები ხომ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები არიან. ისინი ხალხის ღვიძლი შვილები არიან.

ეს ის როდია, რასაც ვხედავთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც ზოგიერთი გამონაკლისის გარდა დეპუტატთა უმრავლესობას პარლამენტებში ისინი შეადგენენ, ვისაც კაპიტალები აქვს, ან ისინი, ვინც მილიონერებსა და მილიარდერებს ემსახურება. ჩვენი დეპუტატები ნამდვილად ხალხის დეპუტატები არიან. ჩვენი საბჭოები, ჩვენი პარლამენტები — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო — ნამდვილად სახალხო პარლამენტები არიან.

საბჭოების დეპუტატებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ შეუნელებელ კონტროლს უწევენ თავიანთი ამომრჩევლები, რომ მათ სადეპუტატო საქმიანობას განსაზღვრავენ არა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წარმოთქმული სიტყვები, არამედ კონკრეტული საქმეები.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ავამაღლოთ საბჭოებისა და მათი დეპუტატების როლი და აქტივობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში—სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების მუშაობაში, საბინაო მშენებლობის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის ხელმძღვანელობაში, საზოგადოებრივი სასადილოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ბევრი სხვა უბნის შექმნასა და მუშაობის გაუმჯობესებაში. ყოველივე ეს მშრომელთა ცხოვრების საარსებო საკითხებია და ამ საკითხებზე ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ საბჭოები, როგორც სახალხო ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა დაეხმარონ საბჭოებს მათს მუშაობაში, სწორ კალაპოტში ჩააყენონ მათი საქმიანობა, მაგრამ არ უნდა გასწიონ მათი მაგივრობა, არ იკისრონ მათი ფუნქციები.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში მთელი სიმდიდრის პატრონია ხალხი და მხოლოდ ხალხი. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენში არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არის უმუშევრობა — მშრომელთა ეს საშინელი უბედურება, ჩვენში თვითონ ხალხი განაგებს საზოგადოების ყველა საქმეს.

სულ სხვაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც ადამიანები, რომლებიც სიმდიდრეს ქმნიან, არსებითად უუფლებონი არიან.

კაპიტალიზმის ანტიხალხური, ექსპლოატატორული არსი რომ შენიღბონ, მისმა დამცველებმა ამ უკანასკნელ ხანს ბევრი ლეგენდა შექმნეს ეგრეთწოდებული „სახალხო კაპიტალიზმის“ შესახებ. ისინი ყოველნაირად აქებენ ამ „სახალხო კაპიტალიზმს“, რომელიც თითქოს არსებობს ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ასეთი ადამიანები სოციალისტებსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს, თუმცა ისინი ნამდვილად კაპიტალისტების დამქაშები, მსახურები არიან.

სახალხო კაპიტალიზმი — აი ნამდვილი გზა სოციალიზმისაკენ —გაიძახიან ასეთი „სოციალისტები“ როგორც დაქირავებული მიმპატიჟებელნი იაფსაბაზრო ბალაგანში. შეხედეთ, — ამბობენ ისინი, — მუშები და მოსამსახურეები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ახლა ისეთივე კაპიტალისტები ხდებიან, როგორც მილიონერები და მილიარდერები. ისინი იძენენ აქციებს და ახლა უფლება აქვთ თავს უწოდონ ფაბრიკების, ქარხნების და სააქციო საზოგადოებათა სხვა საწარმოების პატრონები.

მაგრამ ნამდვილად რა ემართებათ ასეთ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წამოეგებიან ამ ანკესს და თავიანთი შრომითი დანაზოგით ყიდულობენ წვრილ აქციებს, ხდებიან კაპიტალისტურ საწარმოთა აქციონერები, „პატრონები“? როცა იწყება კრიზისული მოვლენები, ნამდვილი პატრონები ყურში ჩაავლებენ ხელს ამ „პატრონ“ - აქციონერებს და ერეკებიან იმ საწარმოებიდან, რომელთა აქციები მათ აქვთ. აქციონერი ხდება უმუშევარი, რომელთა არმიაში მილიონობით ადამიანია. და აი დგას ასეთი „პატრონი“ რიგში, ელის, ეგებ ბედმა გაუღიმოს და კვლავ მიიღოს სამუშაო, შიმშილით არ მოკვდეს და ოჯახი არ დაეღუპოს. რამდენი ასეთი „პატრონი“ მონაწილეობს გაფიცვებში ფაბრიკა-ქარხნების მფლობელთა წინააღმდეგ, ეგრეთწოდებული „სახალხო-კაპიტალისტური“ სახელმწიფოების ექსპლოატატორული კლასებისა და მთავრობათა წინააღმდეგ!

განა ეს იმის თვალსაჩინო გაკვეთილი არ არის, რომ სიცრუეა კაპიტალიზმის იდეოლოგებისა და რევიზიონისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ შეიცვალა კაპიტალისტური წყობილების ბუნება, რომ გაჩნდა სოციალიზმის რაღაც „ყლორტები“ კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკაში და კაპიტალისტური ქვეყნების სოციალისტურ ქვეყნებად გარდაქმნის რაღაც „განსაკუთრებული გზები“.

რა ლამაზი ტანსაცმლითაც უნდა გამოაწყონ იმპერიალიზმის იდეოლოგებმა კაპიტალისტური წყობილება, იგი მაინც დარჩება ექსპლოატატორთა შედარებით მცირე ჯგუფის მიერ მილიონობით ადამიანის ჩაგვრის წყობილებად. იგი დარჩება წყობილებად, სადაც გამეფებულია მშრომელთა სიღატაკე და მასობრივი უმუშევრობა.

საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სოციალიზმი ათავისუფლებს მშრომელთ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, ანიჭებს მათ ნამდვილ თავისუფლებას, რეალურად უზრუნველყოფს შრომის, განათლების, დასვენების უფლებას, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაც და საერთაშორისო მდგომარეობაც წინანდელზე უფრო კარგია, მტკიცეა. საბჭოთა ხალხი შემოქმედებითს შრომას ეწევა, ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება. ყველა ხედავს, რომ შვიდწლიან გეგმას მშვიდობიანი მიმართულება აქვს, გამსჭვალულია მშვიდობისმოყვარეობის სულისკვეთებით.

პარტიის XXI ყრილობამ საერთაშორისო ურთიერთობის დარგში დასახა ამოცანა: თანამიმდევრული განხორციელება საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე; „ცივი ომის“ შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსის განხორციელება; მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და მოძმე ხალხთა თანამეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და განუხრელად განახორციელებენ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ გავწმინდოთ საერთაშორისო ატმოსფერო ომის საფრთხისაგან, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ურთიერთნდობა და თანამშრომლობა დამყარდეს სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა.

თუმცა ჰორიზონტზე ახლა ერთგვარი ნისლია დასავლეთ გერმანიისა და ბერლინის ზონაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებებით ეს ნისლი შეიძლება გაიფანტოს ისევე, როგორც შეიძლება გაუმჯობესდეს ამინდი დედამიწის იმ რაიონებში, სადაც იგი ახლა საკმაოდ მოწმენდილი არ არის. **(ტაში).**

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? უნდა დავიწყოთ იმით, რომ აღმოვფხვრათ საერთაშორისო ურთიერთობის არსებული დაძაბულობის ყველაზე საშიში მიზეზები. ამიტომ საბჭოთა კავშირის წინადადებაა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ღონისძიებანი უახლოეს ხანში მოხმარდეს უწინარეს ყოვლისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და ბერლინის საკითხის გადაჭრას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სწორად შეაფასებენ ჩვენს წინადადებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ჩვენი წინადადებანი ითვალისწინებენ გერმანიაში რეალურად შექმნილ პირობებს და კარგ საფუძველს წარმოადგენენ ამ საკითხების გადაჭრისათვის.

10 იანვარს ჩვენ დასავლეთის სახელმწიფოებს მივმართეთ წინადადებით, რომ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მეომარი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავებისა და ხელმოწერის საკითხი. რამდენადაც ამჟამად გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ორი სუვერენული სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს აგრეთვე დასავლეთი ბერლინი, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რასაკვირველია, უნდა დაიდოს ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ჩვენი წინადადება სავსებით დასაბუთებულად იმიტომ, რომ იგი ითვალისწინებს გერმანიაში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას. იგი სახავს ამ საკითხის გადაჭრის ისეთ შესაძლებლობას, რომელიც არ არღვევს ვისიმე ინტერესებს და შეესაბამება საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანას.

ახლა ჩვენ მივიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა პასუხები ჩვენს წინადადებებზე. ისინი მოითხოვენ განხილულ იქნას „გერმანიის პრობლემა ყველა მისი ასპექტით“. მაგრამ რას ნიშნავს ეს დასავლეთის სახელმწიფოთა გაგებით? მათ, როგორც ჩანს, იმედი აქვთ, რომ ამ განხილვის შედეგად მოახერხებენ თავს მოგვახვიონ თავიანთი ნება და ჩვენ მათ ხელს შევუწყობთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანელთა სოციალურ-ეკონომიური მონაპოვრების ლიკვიდაციაში. მათ სურთ, რომ ჩვენ გამოვიყენოთ, როგორც ჩანს, რაღაც ძალმომრეობა, რადგან ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელები თავიანთ მონაპოვრებს ნებაყოფლობით არ დათმობენ. მათი ნება ამ მხრივ გამოიხატა, მაგალითად, 1958 წლის ნოემბრის არჩევნებში. ეროვნული ფრონტის კანდიდატთა სიებს, რომელიც აერთიანებს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, ქრისტიან დემოკრატთა კავშირს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ლიბერალურ - დემოკრატიულ პარტიას, გლეხთა დემოკრატიულ პარტიასა და რესპუბლიკის სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,87 პროცენტმა. არჩევნებში მონაწილეობდა 11 მილიონ 708 ათასი კაცი 11 მილიონ 840 ათასი ამომრჩევლიდან, ანუ 98,9 პროცენტი.

ამრიგად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ყველა გერმანელმა პრაქტიკულად სრული ნდობა გამოუცხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს და იმ პოლიტიკას, რომელსაც ისინი ახორციელებენ. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული ფრონტის ყველა პარტია დგას თავისი სახელმწიფოს სოციალისტურ გარდაქმნათა პოზიციებზე. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უკვე დიდი მუშაობა გასწია ამ მიმართულებით და მალე დაამთავრებს სოციალიზმის მშენებლობას. მაშასადამე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა თქვეს თავიანთი მტკიცე სიტყვა იმ საკითხზე, თუ რა სურთ მათ და რას ესწრაფვიან.

ნუთუ დასავლეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საბჭოთა კავშირი მათი ხელშემწყობი იქნება იმის ლიკვიდაციის შავბნელ საქმეში, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესულმა ძალებმა შექმნეს?

განვითარების სოციალისტური გზა, როგორც ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისა და დაკმაყოფილების პრობლემის გადაჭრის ერთადერთი სწორი გზა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელებმა ნებაყოფლობით აირჩიეს და მას მხარს უჭერს მთელი მოსახლეობა.

ვინც ფიქრობს, რომ თითქოს ჩვენ შეგვიძლია წინადადება მივცეთ გერმანელებს უარი თქვან ამ გზაზე, იმათ ჩვენ ნათლად ვეუბნებით: ბატონებო, თქვენ მისამართი შეგეშალათ. ჩვენი სახით თქვენ გყავთ ამ შავბნელი საქმის მტკიცე მოწინააღმდეგე, რადგან ჩვენ იმ სოციალისტურ გარდაქმნათა ბოლომდე ერთგული მომხრეები ვართ, რომლებიც გერმანელებმა განახორციელეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, იმ ქვეყნის წარმომადგენლები ვართ, რომელმაც პირველმა განახორციელა სოციალისტური რევოლუცია და ახლა წარმატებით მიდის კომუნიზმის მშენებლობის გზით. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ არათუ არაფერს არ ვაკეთებთ, რომ დაირღვეს სოციალისტური განვითარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ, პირიქით, ყოველნაირად ვუწყობდით ხელს და კვლავაც შევუწყობთ ხელს ასეთ განვითარებას. მე ამას უკვე მერამდენედ ვიმეორებ და, თუ ეს საჭირო იქნება, კვლავაც გავიმეორებ მანამდე, სანამ ყველაზე ჯიუტებიც კი არ შეითვისებენ ამ უბრალო ჭეშმარიტებას. **(ტაში).**

დასავლეთის სახელმწიფოები წინადადებას იძლევიან, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის. ამასთან ისინი ითვალისწინებენ ამ თათბირში ორი გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობას სათათბირო ხმით, რაც, რა თქმა უნდა, უკვე არის ორი გერმანული სახელმწიფოს ნამდვილი არსებობის რაღაც ფაქტიური აღიარება. მაგრამ უნდა ვიყოთ ლოგიკურნი და ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვას. თუ აღიარებულია ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა, ამის შემდეგ უნდა ვაღიაროთ იმის უფლებაც, რომ თვითონ მათ გადაწყვიტონ გერმანიის საკითხი. **(ტაში).**

დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ დახმარება გაუწიონ ორ გერმანულ სახელმწიფოს მათი დაახლოების საქმეში გერმანელი ხალხის ეროვნული ამოცანის —

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

გერმანიის გაერთიანების გადაჭრის მიზნით. ჩვენ უკვე ბევრჯერ გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, რომ არ გადავწყვეტთ გერმანელების მაგივრად გერმანიის გაერთიანების საკითხს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ოთხი დიდი სახელმწიფოს საქმე არ არის, და თუ ჩვენ ასეთ როლს ვიკისრებთ, ეს იქნება ორი გერმანული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევა, ეს იქნება უხეში ჩარევა გერმანელი ხალხის საშინაო საქმეებში.

რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ მონაწილეობა მივიღოთ გერმანიის საკითხის გადაჭრაში, პირიქით, ჩვენ მზად ვართ ომის დროის ჩვენს მოკავშირეებთან ერთად განვიხილოთ საკითხები იმის შესახებ, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო თავის განვითარებაში არ დაადგეს მილიტარიზმის გზას და რომ ისინი არ უქმნიდნენ საფრთხეს თავიანთ მეზობლებს, არ ქმნიდნენ მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხეს, ომისა, რომელიც უდიდესი უბედურება იქნებოდა მთელი კაცობრიობისათვის. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში თანახმა არა ვართ განვიხილოთ გერმანიის გაერთიანების საკითხი. ეს თვით გერმანული სახელმწიფოების — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკითხია. დაე თვით გერმანელები მიუსხდნენ საერთო მაგიდას და გადაჭრან ეს საკითხი. ჩვენ არ ჩავერევით გერმანიის საშინაო საქმეებში.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გაიგონ, თითქოს ჩვენ განზე ვიდგებით, თუ შეიქმნა საფრთხე ჩვენი მოკავშირისათვის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. რამდენადაც ჩვენ ამჟამად გაერთიანებული ვართ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ჩვენ დავიცავთ ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი თითოეული ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების ყოველ დარღვევას დასავლეთის მხრივ ჩვენ მივიჩნევთ რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევად, ომის დაწყებად. ამიტომ ჩვენ ვაფრთხილებთ დასავლეთის ფიცხ ადამიანებს, რომლებიც აგრესიულ განცხადებებს აკეთებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დგანან საბჭოთა ჯარები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები და ვერავინ ვერ გაბედავს დაარღვიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი ვერც მიწაზე, ვერც ჰაერში, ვერც წყალში. **(ხანგრძლივი ტაში).**

რა გვიპასუხეს დასავლეთის სახელმწიფოებმა?

იმის ნაცვლად, რომ მიეღოთ ჩვენი წინადადებები, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს წინადადებები შეესაბამება როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ინტერესებს, რადგან შესაძლებელს ხდის შეიქმნას სამშვიდობო პირობები, აღმოიფხვრას ყველა კერა, რომლებიც შეიცავენ სერიოზულ საფრთხეს მშვიდობის საქმისათვის, ისინი გვთავაზობენ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას გერმანიის პრობლემის განსახილველად. მაგრამ საკითხავია, რატომ არიან გამორიცხული სხვა ქვეყნები, რომლებიც ომობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ? დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებში უგულებელყოფილი არიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც ჰიტლერელთა ურდოების შესევის პირველი მსხვერპლი გახდნენ, როგორიც მაგალითად, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი. გარდა იმისა, რომ ეს ქვეყნები პირველნი დაზარალდნენ ჰიტლერელ დამპყრობთაგან, ისინი ესაზღვრებიან გერმანიას. მაშ რატომ უგულებელყოფენ მათ ამ საკითხების გადაჭრის დროს? თავისთავად იგულისხმება, რომ ეს საკითხის საქმიანი დაყენება არ არის და ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით.

გარდა ამისა, გვთავაზობენ რა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრას, დასავლეთის სახელმწიფოებს ალბათ სურთ ჩაგვითრიონ დიპლომატიური მოლაპარაკების ლაბირინთში, რათა რამდენიმე წლით ჩაეჭდლოთ ამ მოლაპარაკებაში, რომლის დროს იქნება მრავალი სხდომა, შესვენება და სხვ. კარგად ცნობილია, რომ როცა სურთ საკითხის დაკონსერვება, მას ახრჩობენ განუწყვეტელი სიტყვების კორიანტელში, საიდანაც, როგორც ჭაობიდან, გამოსავალი არ არის. და შემთხვევით როდი განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ კანცლერმა ადენაუერმა, რომ ამგვარ მოლაპარაკებას შეიძლება წლები დასჭირდესო. ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს ბევრი საქმე აქვს და, ვფიქრობ, მან დრო არ უნდა დაკარგოს უნაყოფო ლაპარაკზე. **(ტაში).**

ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია. თუ დიდი სახელმწიფოები დათანხმდებიან შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე, რომლებიც, სრული უფლებით აღჭურვილნი და პასუხისმგებელნი არიან რა მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, შეძლებენ სალად განიხილონ და გადაჭრან უმნიშვნელოვანესი საკითხები. **(ტაში).** თუ მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს, ისინი ბევრ ძვირფას დროს დაკარგავენ, სანამ შეისწავლიან, თუ რა ნოტები და წერილები, როდის და რა ქვეყნებს გაეგზავნათ და რა იყო იქ ნათქვამი. საეჭვოა ამას დიდი სარგებლობა მოჰყვეს. 13 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხომ იმდენი ნოტა დაიწერა და გაიგზავნა, რომ მათგან შეიძლება მთელი ტომების შედგენა, და თუ მათ თავის დროზე სასურველი შედეგი ვერ მოუტანეს ვერც ერთ, ვერც მეორე მხარეს, ალბათ მათი ახლანდელი შესწავლაც არაფერს არ მოგვცემს. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ვქექავდეთ წარსულს, ვივიწყებდეთ დღევანდელს, არ ვფიქრობდეთ ხვალინდელზე. **(ტაში).**

მოდით სალად შევაფასოთ დღევანდელი მდგომარეობა და შევხედოთ მომავალს. ჩვენ მოვალენი ვართ ყური დავუგდოთ ხალხების ხმას, გავიგოთ მათი სურვილი და განვახორციელოთ ეს სურვილი. რა სურთ დღეს ხალხებს? ხალხებს სურთ მშვიდობა. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას როგორც ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებში მშვიდობა სურს. ამიტომ მოდით გადავდგათ რეალური ნაბიჯები მშვიდობის განსამტკიცებლად ევროპასა და მთელ მსოფლიოში. **(ტაში).**

მთავრობათა მეთაურები პირველ რიგში უნდა შეთანხმდნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებაზე, რაც ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის ბერლინის საკითხის გადაჭრის მომასწავებელი იქნებოდა. დასავლეთის სახელმწიფოები თავს არიდებენ ამ დიდი ხნის მომწიფებული საკითხების გადაჭრას.

გონივრულია თუ არა დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთი პოზიცია? უდავოდ, არა. და ასე მარტო მე როდი მიმაჩნია, როგორც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას იწონებს ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა მთელ მსოფლიოში. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ერთი რამ გვსურს — შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ის ახალი, რაც შეიქმნა ფაშიზმის წინააღმდეგ მძიმე ომის შემდეგ და ქმნის გარკვეულ გარანტიებს, რომ ყოველი ახალი აგრესია გერმანიის მილიტარიზმის რევანშისტული ძალების მხრივ გამანადგურებელ წინააღმდეგობას შეხვდება. **(ტაში).**

მდგომარეობა, რომელიც ომის შემდეგ შეიქმნა, არ შეიძლება შეიცვალოს ცალმხრივი მოქმედებით ძალადობის გამოუყენებლად სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალადობა კი ომია. ჩვენ არა გვსურს ომი და მხარს ვუჭერთ წარსული ომის შედეგების უსწრაფესად აღმოფხვრას. გვსურს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმაც სამუდამოდ უარი თქვან განზრახვაზე გადაჭრან რაიმე საერთაშორისო საკითხი ომის დახმარებით. ახლანდელ პირობებში მუქარისა და ულტიმატუმების მეთოდი, განსაკუთრებით სსრ კავშირის მიმართ, აშკარად უვარგისი საშუალებაა, რადგან იგი არ შეესაბამება ძალთა რეალურ თანაფარდობას. ომი და ულტიმატუმები სამუდამოდ უნდა გამოვრიცხოთ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკიდან და ჩავაბაროთ ისტორიის არქივს. **(ტაში).**

დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი „გერმანიის პრობლემის ყველა მისი ასპექტით“ განსახილველად, აშკარად მოძველდა, რადგან არ არის ერთიანი გერმანია, არამედ არის ორი გერმანული სახელმწიფო — ერთი კაპიტალისტური, სადაც ახლა აღორძინებენ მილიტარიზმს და ამზადებენ რევანშის გეგმებს, და მეორე — სოციალისტური. სადაც განვითარება მიდის მშვიდობისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის გზით. საკითხის ასეთი დაყენება გამართლებული იქნებოდა 14 წლის წინათ, როცა ჰიტლერული გერმანია ახლად განადგურებული იყო, მაგრამ გერმანია ჯერ კიდევ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს, ერთიანი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილებით. ჩვენს დროში გერმანიის პრობლემისადმი ასეთი მიდგომა უიმედოდ მოძველდა.

და ახლა საკმაოდ უცნაურია, როცა ჩვენი ყოფილი მოკავშირეები ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში გვიგზავნიან სხვადასხვა წინადადებას, წინასწარ შეთანხმებულს ნატოში, ესე იგი დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბლოკის ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციაში ხომ ახლა შედის დასავლეთი გერმანიაც, რომლის მმართველი წრეები აშკარად აღორძინებენ გერმანიის მილიტარიზმს, რომელმაც აურაცხელი უბედურება მოუტანა ხალხებს. გამოდის, რომ ბონელი ვაჟბატონები მონაწილეობენ დასავლეთის სახელმწიფოების წინადადებათა შემუშავებაში და იძლევიან გერმანიის პრობლემის გადაჭრის რეცეპტებს. დასავლეთის სახელმწიფოები ახლა იმათ ეყრდნობიან, ვინც აქტიურად მონაწილეობდა დამპყრობლურ ომში სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. რა მალე დაივიწყეს დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებმა საზარელი დანაშაულობანი შპაიდელის, ჰოიზინგერის და სხვა მათი მსგავსი ჰიტლერელი გენერლებისა, რომლებიც თავის დროზე ბოლომდე ვერ მოსპო საბჭოთა არმიამ. არა მარტო დაივიწყეს მათი დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ, არამედ ნატოში ხელმძღვანელ პოსტებზე დააყენეს ისინი.

ახლა დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ, რომ ჩვენ ვცნოთ გერმანიის პრობლემის გადაჭრის რეცეპტები, რომლებიც მათ შპაიდელების დახმარებით აქვთ შემუშავებული. ისინი ამ რეცეპტებს ასაღებენ როგორც მშვიდობისმოყვარულსა და ურთიერთხელსაყრელს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის. რა შეიძლება ვუთხრათ მათ ამის შესახებ? თქვენ, ბატონებო, ახორციელებთ აბსურდულ პოლიტიკას ჰიტლერული ვერმახტის განადგურებაში თქვენი ყოფილი პარტნიორის მიმართ, რომელმაც გაცილებით მეტი წვლილი შეიტანა ჰიტლერიზმის განადგურებაში, ვიდრე ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა დანარჩენმა მონაწილემ ერთად. თქვენი კონცეპცია რეალური და სწორი არ არის და ჩვენ მას ვერ მივიღებთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთავრობათა მეთაურების თათბირზე განხილულ უნდა იქნას აგრეთვე ისეთი საკითხები, რომლებიც აღელვებენ ხალხებს და რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება. ეს არის ევროპის უშიშროების, სხვისი ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის, ორივე სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული ძალების განცალკევების საკითხები, განიარაღების, შეიარაღებული ძალების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, მისი გამოცდის შეწყვეტისა და სხვა საკითხები.

თუ ეს რთული საკითხები, რომელთა შესახებ უკვე დიდი ხანია წარუმატებლად მიმდინარეობს მოლაპარაკება დიპლომატიური არხებით, განსახილველად გადაეცემა საგარეო საქმეთა მინისტრებს ვშიშობ, რომ დაძაბულობის შენელების ნაცვლად შეიძლება გაძლიერდეს დაძაბულობა. მინისტრები აუცილებლად დაიწყებენ ყველაფრის ქექვას, რაც წარსულში იყო. თუ დასავლეთის სახელმწიფოები მიზნად ისახავენ გააძლიერონ დაძაბულობა, რათა გამწვავდეს ურთიერთობა, გაძლიერდეს „ცივი ომი“, სახელმწიფოები მივიდნენ ომის ზღვარამდე, ხოლო შემდეგ გადავიდნენ ამ ზღვარს, ამ შემთხვევაში მათი წინადადებანი გასაგებია.

საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები სხვა მიზნებს ისახავენ. ჩვენ გვსურს საკითხების ისეთი გადაჭრა, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის ლიკვიდაციას, „ცივი ომის“ შეწყვეტას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლანდელ რთულ ვითარებაში ნამდვილი ნაბიჯის წინ გადადგმა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში ყველაზე უკეთ შეუძლიათ მთავრობათა მეთაურებს, რომლებსაც მეტი რწმუნებები აქვთ. მათ შეუძლიათ მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებანი.

ახლა რამდენიმე სიტყვა ბერლინზე. დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი თავიანთ გამოსვლებში ამბობენ, რომ ვიღაც აპირებს ხელი შეუშალოს მათი ფუნქციების განხორციელებას დასავლეთ ბერლინის მიმართ. ეს ჩვენი პოზიციის არასწორი გაგებაა. ჩვენ პატივს ვცემთ ხელშეკრულებებს და ზუსტად ვიცავთ მათ. სწორედ ამიტომ შეგვაქვს წინადადება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

რაც შეეხება შეთანხმებებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ გერმანიის, აგრეთვე ბერლინის მართვისა და ოკუპაციის წესს, ხომ ყველა ეს შეთანხმება დაიდო ომის მსვლელობაში, ან გერმანიის განადგურების შემდეგ. ამიტომ ბუნებრივია, რომ, როცა საზავო ხელშეკრულება დაიდება, მთელი ეს შეთანხმებანი თავისთავად გაუქმდებიან, რადგან დაიწყება საზავო ხელშეკრულების მოქმედება.

საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გერმანიის ოკუპაციის შესახებ ყველა ვალდებულება — როგორც ჩვენი, ისე ჩვენი მოკავშირეებისა — ძალას დაკარგავს. მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი გერმანიის შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებათა რაიმე დარღვევაზე, იმაზე, რომ დასავლეთი იცავს თავის ინტერესებს და ასრულებს დასავლეთ ბერლინის „დაცვის“ ფუნქციებს, რომლებიც ამ შეთანხმებებიდან გამომდინარეობდნენ. ამასთანავე დასავლეთ ბერლინს არავინ არ ესხმის თავს, პირიქით, ჩვენი წინადადებაა თავისუფალი ქალაქი გახდეს იგი.

როცა საზავო ხელშეკრულება დაიდება ორ ან ერთ გერმანულ სახელმწიფოსთან, ამით საბოლოოდ გაუქმდება ხელშეკრულებაც ბერლინის სექტორებად დაყოფის შესახებ და, მაშასადამე, მისი ოკუპაციის შესახებ. მტკივნეულად რომ არ გარდაიქმნას დასავლეთ ბერლინში ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიური წყობილება, ჩვენი წინადადებაა მიეცეს მას თავისუფალი ქალაქის სტატუსი, რაზეც თანხმობა განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ბერლინი.

ჩვენ თანახმა ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად შევიმუშაოთ თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სტატუსი, დავამუშაოთ ამ სტატუსის შენარჩუნების შესაბამისი გარანტიები, ისე რომ არავინ არ ერეოდეს თავისუფალი ქალაქის საქმეებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი დამოუკიდებლობა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან საჭირო საქმიანი, კულტურული და სხვა ურთიერთობა. საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად თანახმაა იყოს თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სტატუსის ერთ-ერთი გარანტი. ჩვენ აგრეთვე, ვფიქრობთ, რომ თავისუფალი ქალაქის სტატუსის დაცვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

განა ცხადი არ არის, რომ ადამიანები, რომელნიც ჩვენი წინადადების პასუხად გაიძახიან, რომ ისინი ძალით შეიჭრებიან ბერლინში, „არავის მისცემენ ნებას დაიპყროს იგი“, ყოველივე ამას იმისათვის სჩადიან, რომ შეცდომაში შეიყვანონ თავიანთი ქვეყნების მოსახლეობა და მსოფლიო საზოგადოებრიობა და ამრიგად დაამტკიცონ, რომ საჭიროა ომიანობის დროის, ოკუპაციის რეჟიმის შენარჩუნება, „ცივი ომის“ მდგომარეობის განგრძობა.

ზოგი ვინმე დასავლეთში აგრეთვე ამბობს, თითქოს ჩვენ ჩვენი წინადადებებით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის შესახებ რაღაც გამწვავება შეგვეტანოს საერთაშორისო ვითარებაში. ეს სწორი არ არის. როდის იყო, რომ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, აფასებდნენ როგორც ისეთ წინადადებებს, რომელნიც ამწვავებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას? ასეთი შეფასება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც სურს არ მისცეს გერმანიას საზავო ხელშეკრულება და შეინარჩუნოს დაძაბულობის მდგომარეობა.

განსაკუთრებით ძლიერი ისტერიკა ჩვენმა წინადადებებმა ბატონ ადენაუერს დამართეს. იგი ვერასგზით ვერ ეთანხმება ამ წინადადებებს. ოღონდაც! ჩვენი წინადადებები ხომ სამშვიდობო წინადადებებია, ადენაუერი კი ძალის პოზიციიდან საკითხის გადაჭრის თავგამოდებული მომხრეა, ატომური იარაღით დასავლეთ გერმანიის შეიარაღების აქტიური დამცველია, თუმცა, როგორც ქრისტიანი, იგი, თითქოს, მშვიდობისათვის უნდა ზრუნავდეს. ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით თქვენ, ბატონო კანცლერო, ოდესმე ხომ უნდა წარსდგეთ ზენაარის სამსჯავროს წინაშე. **(დარბაზში გამოცოცხლებაა).** ვინ განგსჯით თქვენ? ალბათ თვითონ უფალი — საბაოთი ან მისი ძე ქრისტე განგსჯით, იმიტომ, რომ თქვენ ქრისტიანთა პარტიის ლიდერი ხართ. **(დარბაზში სიცილია).** რა პასუხი უნდა გასცეთ ამ სამსჯავროში თქვენი პოლიტიკის შესახებ? თქვენი პოლიტიკა ხომ ეწინააღმდეგება ქრისტიანთა რწმენას. თქვენ უნდა ჩაუფიქრდეთ ამას და სიმართლის გზას დაადგეთ. სიმართლის გზა მშვიდობის საკითხებში ქრისტიანებისთვისაც და ათეისტებისთვისაც ერთია — იცხოვრონ მეგობრულად და ყოველი ღონე იხმარონ, რათა ბოროტება არ გამეფდეს ამ ქვეყნად. **(ხანგრძლივი ტაში).** პირველი ბოროტება კი არის ომი ან ომისათვის მზადება. თქვენ ეს სწორად უნდა შეიგნოთ და დროზე მიატოვოთ თქვენ მიერ არჩეული გზა — ომის მომზადების გზა, თორემ თქვენ სასტიკად დაგსჯით არა მარტო ამქვეყნიური სამსჯავრო, არამედ „ზეციური სამსჯავროც“. **(სიცილი დარბაზში, ტაში).**

ვფიქრობ, რომ გერმანელი ხალხი და ყველა ქვეყნის ხალხები შეიგნებენ, ბოლოს და ბოლოს, ვის მხარეზეა სიმართლე, ვის სურს მშვიდობა და ვის სურს ომი.

ამხანაგებო! გადაუჭრელ საერთაშორისო საკითხებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს.

აი უკვე თითქმის ოთხი თვეა ჟენევაში ამ საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, გასული წლის ზაფხულში თათბირმა საბჭოთა, ამერიკელი, ინგლისელი და სხვა ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშავა კონტროლისა და მსოფლიოს ყველა კონტინენტზე საკონტროლო საგუშაგოების განლაგების სისტემა. ჩვენ მოვიწონეთ და დავამტკიცეთ ექსპერტთა თათბირის ეს რეკომენდაციები. ასევე მოიქცნენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი.

თითქოს, ჟენევის ახლანდელი თათბირის წინაშე იდგა საკმაოდ ნათელი ამოცანა — ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე დაიდოს შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ საჭირო იქნებოდა სულ ორი-სამი კვირა, რათა მოემზადებინათ და ხელი მოეწერათ ხელშეკრულებისათვის, რომელსაც მოელის მთელი კაცობრიობა. ეს შესაძლებელს გახდიდა სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას და ამით დასაბამი მიეცემოდა იმას, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შეწყდეს მიწისა და ჰაერის მოწამვლა რადიაქტიური ნალექებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ეს იქნებოდა დიდი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ერთობლივი ღონისძიებებით გაყვანილი იქნებოდა პირველი კვალი სახელმწიფოთა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების ასპარეზზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ არ გამართლდა. შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები, როგორც ჩანს, მხოლოდ საზოგადოებრიობის ზეგავლენით იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ ამ მოლაპარაკებაზე. აცხადებენ რა სიტყვით თავიანთ მისწრაფებას გამოცდის შეწყვეტისადმი, ისინი სინამდვილეში აჭიანურებენ მოლაპარაკებას და, როგორც ჩანს, განზრახვა აქვთ ჩაშალონ მოლაპარაკება, და ეს დააბრალონ საბჭოთა კავშირს.

ჟენევის თათბირის მუშაობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის განსახილველად შეიტანა პროექტი შეთანხმებისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიცავდა ყველა საჭირო ელემენტს: გამოცდის შეწყვეტას სამუდამოდ; ასეთი შეთანხმების შესრულების მეთვალყურეობისადმი ეფექტიანი საერთაშორისო საკონტროლო სისტემის შექმნას; შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებს თავიანთ ტერიტორიაზე შესაბამისი საკონტროლო საგუშაგოების განლაგების შესახებ.

დასავლეთის სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი ჩვენს შეთანხმების პროექტს, მაგრამ არც თავიანთი პროექტი წამოუყენებიათ. ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები საერთოდ უარს ამბობენ იმ ვადის საკითხის განხილვაზე, რომლითაც უნდა შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ თათბირმა მთელი ყურადღება მიაქციოს კონტროლის შესახებ მათ მიერ წამოყენებული აშკარად შეუსაბამო და მიუღებელი წინადადების განხილვას.

რად ღირს, მაგალითად, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი წინადადება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი კონტროლის საკითხზე? მათ სურთ, რომ ჩვენ მხარი დავუჭიროთ მათს წინადადებებს იმის შესახებ, რომ საკონტროლო ორგანო გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, მათ შორის იმ საკითხებზეც, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უშიშროების ინტერესებს შეეხება, ხმის უბრალო უმრავლესობით იღებდეს. ეს უმრავლესობა კი, მათი განზრახვით, უნდა ეკუთვნოდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათს მოკავშირეებს. მადა, როგორც ხედავთ, ცუდი როდი აქვთ.

ჩვენი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას იმ სახელმწიფოთა თანხმობით, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ. სხვანაირად არც შეიძლება. მე ვფიქრობ, რომ არც ამერიკის შეერთებული შტატები, არც დიდი ბრიტანეთი არ დათანხმდებიან, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირმა თავს მოახვიოს მათ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და უშიშროებას შეეხება. ასევე ჩვენც ვერ დავთანხმდებით, რომ თავს გვახვევდნენ ასეთ გადაწყვეტილებებს. მაგრამ თუ ორივე მხარე არ დაეთანხმება იმას, რომ მათ თავს ახვევდნენ გადაწყვეტილებებს, გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — გადაწყვეტილებათა შეთანხმება. სწორედ ამას ვთავაზობთ ჩვენს პარტნიორებს.

საბჭოთა კავშირმა ჟენევის თათბირის განსახილველად შეიტანა ისეთი წინადადებანი საკონტროლო ორგანოში კენჭისყრის საკითხზე, რომლებიც ემყარებიან სსრ კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპს. თუ ასეთი თანამშრომლობა არ იქნა, საკონტროლო ორგანიზაციის ნორმალური მუშაობის წარმოდგენაც არ შეიძლება.

მაგრამ ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებაში უარყოფენ ამ წინადადებებს. მაშასადამე, მათ არა სურთ სამი სახელმწიფოს არც თანასწორობა, არც თანამშრომლობა საკონტროლო სისტემაში. როგორც ჩანს, მათი სურვილია გამოიყენონ თავიანთი უმრავლესობა საკონტროლო ორგანოში და უკარნახონ თავიანთი ნება საბჭოთა კავშირს. დასავლეთის სახელმწიფოებს ასეთი ცდა ბევრჯერ მოუხდენიათ. მათ არაფერი არ გამოუვიდათ წინათ, არაფერი არ გამოუვათ ამჯერადაც. **(ტაში).**

ანდა ავიღოთ იმ საკონტროლო საგუშაგოების შემადგენლობის საკითხი, რომლებიც განკუთვნილია ატომგულის იარაღის შესაძლო ფარული გამოცდის აღმოსაჩენად. იმისათვის, რომ ეს საგუშაგოები მაქსიმალურად ობიექტური გავხადოთ, ჩვენ წინადადებით მივმართავთ დასავლეთის სახელმწიფოებს დავაკომპლექტოთ ეს საგუშაგოები როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებით, ისე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებით. განა შეიძლება რაიმე საეჭვო იყოს იმაში, რომ საგუშაგოების ასეთი საერთაშორისო შემადგენლობა სავსებით გამორიცხავს ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესებისათვის მათი ცალმხრივი გამოყენების შესაძლებლობას?

სხვა პოზიციას ადგანან ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. მათ სურთ შექმნან ჩვენს ტერიტორიაზე საგუშაგოები, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებული იქნება უცხოელებით, რომლებიც არსებითად სრული ბატონ-პატრონები იქნებიან თავიანთ ზონაში. მაგრამ რადგან ეს საკონტროლო საგუშაგოები გაფანტული უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გამოდის, რომ მთელი ჩვენი ტერიტორია უცხოელთა სრულ მეთვალყურეობაში გადადის. ხოლო რამდენადაც ამ უცხოელებს მეთაურებად ეყოლებათ ამერიკელები და ინგლისელები, რომლებიც ნატოს ხელმძღვანელობენ, გ ა მ ო დ ი ს, რომ ჩვენი ტერიტორია ნატოს აგრესიული ბლოკის მეთვალყურეობაში უნდა გადავცეთ.

თვითონ განსაჯეთ, ამხანაგებო, ამ წინადადებაში ლოგიკის თუნდაც ნატამალი თუ არის? ჩემი აზრით, არ არის, რადგან ასეთი წინადადებები ვერავითარ ჭიშკარში ვერ გაეტევა. **(ტაში).**

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები უფრო შორს მიდიან. ისინი ცდილობენ ახლა „დააზუსტონ“ ექსპერტების თათბირის რეკომენდაციები. ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ის საინსპექციო ჯგუფებიც, რომლებმაც ადგილობრივ უნდა გამოიკვლიონ ესა თუ ის მოვლენა, რომელზეც ეჭვია მიტანილი როგორც ატომგულის აფეთქებაზე, მთლიანად შედგებოდნენ უცხოელებისაგან, რომ ადმინისტრატორის, ე. ი. ერთ პირს და არა საკონტროლო ორგანოს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ექსპერტების თათბირის რეკომენდაციებში, შეეძლოს საკუთარი შეხედულებით გაგზავნოს საინსპექციო ჯგუფები საბჭოთა კავშირის ყოველ პუნქტში, ამასთან ამ ჯგუფების განკარგულებაში იყოს თვითმფრინავები, ვერტმფრენები, საბურღავი ჩარხები და სხვა ამგვარი. დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ, რომ ასეთმა საინსპექციო ჯგუფებმა ჰაერში, წყალში, ხმელეთზე და მიწისქვეშ გამოიკვლიონ მთელი რაიონი, რომელსაც ისინი საკუთარი შეხედულებით საეჭვოდ მიიჩნევენ, მათ შორის გამოიკვლიონ შახტები, კარიერები, ტყეები, ხრამები და სხვ.

ამხანაგებო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს საბჭოთა კავშირისათვის, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის ნამდვილი სამხედრო დაზვერვაა. დასავლეთის სახელმწიფოთა ეს წინადადებანი გვიჩვენებენ, თუ რა უპატივცემლოდ ეკიდებიან ისინი ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს ხალხს.

1955 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბატონმა ეიზენჰაუერმა შემოიტანა წინადადება მოეხდინათ ფრენა ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის გარშემო, რათა გადაეღოთ ყოველივე იმის ფოტოსურათი, რაც ამ ტერიტორიაზეა, ესე იგი მოეწყოთ ფართო დაზვერვა. მაშ რისთვის არის საჭირო ფრენა, თუ არა დაზვერვისათვის? ამას, სხვათა შორის, არც თვითონ პრეზიდენტი უარყოფდა.

ჩვენ უკვე მაშინ პირდაპირ განვაცხადეთ, რომ სანამ ჩვენს ქვეყნებს შორის უნდობლობაა, საბჭოთა კავშირი ასეთ წინადადებებს ვერ მიიღებს. მაგრამ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არ გამოვრიცხავთ ასეთი ფრენის შესაძლებლობას, როცა მეგობრული ურთიერთობა დამყარდება ყველა ქვეყანას შორის, ესე იგი მაშინ, როცა დავინახავთ, რომ არავინ არ გვემუქრება. ამ შემთხვევაში ფრენას ასეთი მნიშვნელობა არ მიეცემა — შეგიძლიათ იფრინოთ, იაროთ და იმოგზაუროთ, სადაც გნებავთ.

მაგრამ ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყნის გარშემო განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები, აგრეთვე ნატოს და ბაღდადის პაქტის ქვეყნების ბაზები, როცა დასავლეთის სამხედრო პირები იკვეხნიან, რომ მათ შეუძლიათ რამდენიმე წუთში ათასობით ბომბდამშენი გამოგზავნონ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და მუქარით მოგვმართავენ. ჩვენ ასეთ ფრენაზე ვერ დავთანხმდებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ იმათ, ვინც ჩვენს სახელმწიფოს ემუქრება, ავიწყდებათ, რომ ჩვენი ქვეყნიდან შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით გაიგზავნოს ასეთივე, ხოლო შესაძლოა, კიდევ უფრო მძლავრი გამანადგურებელი საშუალებები. **(მქუხარე ტაში).**

კონტროლის შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა ახლანდელი წინადადებები რომ მივიღოთ, ეს იქნება მათი მოთხოვნების წინაშე სრული კაპიტულაციის მომასწავებელი, რადგან ეს შესაძლებლობას მისცემს მათ კონტროლი გაუწიონ ჩვენს ქვეყანას არა მარტო ჰაერიდან, არამედ ხმელეთზეც, მიწის ქვეშაც, წყალზე და წყალქვეშაც.

დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთ მოთხოვნებზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვუპასუხოთ: თქვენს დაზვერვას ჩვენს კარს არ გავუღებთ და არც თქვენგან მოვითხოვთ ამას! **(ტაში).**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამას წინათ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მას აქვს „ახალი“ მონაცემები, რომლებიც თითქოს არ ემთხვევიან იმ მონაცემებს, რომლებითაც სარგებლობდა ექსპერტების თათბირი, როცა გამოიტანა თავისი რეკომენდაციები ატომგულის აფეთქებათა აღმოჩენის მეთოდების შესახებ. ეყრდნობიან რა ამ განცხადებას, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ახლანდელ თათბირზე ჟენევაში არსებითად იმას მოითხოვენ, რომ გადაისინჯოს ექსპერტების რეკომენდაციები, ცდილობენ რა ამით ხაზი გადაუსვან ყოველივე იმ კარგს, რაც ექსპერტებმა შარშან ზაფხულში გააკეთეს და რაც მოიწონეს ჩვენმა მთავრობამ და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს სრულებითაც არა სურთ დადებითად გადაიჭრას გამოცდის შეწყვეტის საკითხი. დასავლეთის სახელმწიფოებს არაფერი არ გამოუვათ, თუ კვლავაც დაჟინებით დაიცავენ თავიანთ წინადადებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ მათ ცალმხრივი სარგებლობა მიიღონ. ჩვენ ამაზე არასოდეს არ დავთანხმდებით.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

[illegible]

...მილანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი სელვინ ლოიდი და მათი თანხლები პირები.

ჩვენ მუდამ მოხარული ვართ მივიღოთ სტუმრები, რომლებიც კეთილი განზრახვებით მოდიან ჩვენთან. სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრებს მოჰყვება უკეთესი ურთიერთგაგების დამყარება ქვეყნებს შორის. ჩვენ კი გვსურს არა მარტო ურთიერთგაგების გაუმჯობესება, არამედ აგრეთვე მეგობრული ურთიერთობის დამყარება დიდ ბრიტანეთთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან. საბჭოთა ხალხი დაინტერესებულია მშვიდობით, სურს განამტკიცოს და განავითაროს კეთილი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მეგობრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის ურთიერთობა, განავითაროს ვაჭრობა, კულტურული კავშირი.

ჩვენი ინგლისელი სტუმრების მიმართ საუკეთესო დამოკიდებულებას იჩენენ საბჭოთა კავშირის მთავრობა და საბჭოთა ხალხი.

ჩვენს ადამიანებს არ სჩვევიათ უზრდელობა ან მტრული დამოკიდებულება სტუმრებისადმი, რომლებიც კარგი განზრახვებით მოდიან ჩვენთან. ამიტომ ჩვენს მილიციას არ დასჭირდება აკეთოს მისთვის შეუფერებელი საქმე, ისეთი, მაგალითად, როგორსაც ამერიკის პოლიცია აკეთებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ მიქოიანის მოგზაურობის დროს, როცა ზოგიერთმა ელემენტებმა სცადეს მოეწყოთ პროვოკაციული გამოსვლები. იყო შემთხვევა, როცა ხულიგნების ჯგუფმა კვერცხები ჩაიწყო ჯიბეში, რათა დებოში მოეხდინა. ამერიკის პოლიცია ამ შემთხვევაში კეთილგონივრულად მოიქცა და მიიღო ღონისძიებანი, რომ ეს კვერცხები ჩაემტვრია ხულიგნების ჯიბეებში და წინასწარ გაეკეთებინა მათთვის ერბოკვერცხი მათს საკუთარ ჯიბეებში. **(სიცილი დარბაზში. ტაში).** ჩვენ ვიცით, რომ ასეთი პროვოკაციული ცდები არ გამოხატავენ ამერიკელი ხალხის განწყობილებასა და შეხედულებებს და ხულიგნების მოქმედება ამერიკის საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევდა.

ჩვენში არ არიან ასეთი მოხულიგნო ჯგუფები. საბჭოთა ადამიანები სიხარულით ხვდებიან სტუმრებს და სტუმართმოყვარეობაზე მუდამ უპასუხებენ სტუმართმოყვარეობით და პატივისცემით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ჰაროლდ მაკმილანისა და ბატონ სელვინ ლოიდის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს

[illegible]

...სურვილია დავდოთ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება იმისათვის, რომ დიდ ბრიტანეთს ჰქონდეს მეგობრობა ჩვენთან და ჩვენს მეგობრებთან. გავხდებით რა ინგლისელთა მეგობრები, ჩვენ ამით გვსურს გავხდეთ მათი მეგობრების მეგობრებიც. **(ტაში).**

შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება, მაგალითად, ოცი წლით. ხოლო თუ ჩვენი სტუმრები იტყვიან, რომ ეს მცირე ვადაა, ჩვენ მივესალმებოდით ასეთ განცხადებას და ვეტყოდით: მოდით დავდოთ ხელშეკრულება ორმოცდაათი წლით, ხოლო თუ გსურთ, უფრო მეტი ვადითაც. ჩვენს პოლიტიკას არ სჩვევია კონიუნქტურული მიდგომა, იგი არ ისახავს რაიმე ანგარებითს მიზნებს. ჩვენ ამას ვამბობთ წრფელი გულით. საბჭოთა მთავრობა მთელ თავის ძალღონეს ახმარს და მოახმარს ყველა ხალხთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას. **(ტაში).**

მშვიდობის გზა არის სადავო საკითხებზე მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გზა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია სახელმწიფოების სოციალური წყობილება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებანი.

საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. და ჩვენ მტკიცედ და განუხრელად დავიცავთ ამ პრინციპებს საგარეო პოლიტიკაში. **(ტაში).**

ამასთან დაკავშირებით მე მინდა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენს ურთიერთობაზე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან და ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან.

ამ ბოლო დროს მშვიდობისადმი მტრული ძალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეექმნათ უთანხმოება, ჩაეშალათ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხებს შორის, და, ასე ვთქვათ, ხელი მოეთბოთ ამაზე. მაგრამ ეს მათი სურვილი განუხორციელებელი აღმოჩნდა.

თქვენ იცით, რომ იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნა-

[illegible]

...რაც აქ ვთქვი. **(ტაში).**

იმაზე უკეთესი მისწრაფებები, ვიდრე ჩვენი ხალხის მისწრაფებებია, იმაზე უკეთესი წინადადებები, ვიდრე საბჭოთა კავშირის წინადადებებია, რომ მეგობრობითა და მშვიდობით ცხოვრობდეს და ეხმარებოდეს თავის მეზობლებსა და მეგობრებს, არა გვგონია მან სადმე იპოვნოს. მაგალითად, საბჭოთა მთავრობის ინიციატივით დაიდო სსრ კავშირის შეთანხმება ირანთან სასაზღვრო საკითხების მოწესრიგების შესახებ. ამ შეთანხმებით ლიკვიდირებულია 100-150 წლის დავა, დაზუსტდა საზღვარი და ეს დაზუსტება მოხდა, უმთავრესად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ხარჯზე. ჩვენი ქვეყანა დიდია, ჩვენი ტერიტორია თვალუწვდენია. ჩვენ განვსაჯეთ, რომ არ უნდა ვიყოთ წვრილმანები, უმჯობესია ცოტა დავთმოთ, მაგრამ მეგობრები შევიძინოთ. ეს, როგორც იტყვიან, უფრო ძვირფასია, ვიდრე ზედმეტი შაურიანი გქნეს ჯიბეში. **(მქუხარე ტაში).**

როდესაც ჩვენ ვესაუბრებოდით შაჰს მოსკოვში მისი ყოფნის დროს, იგი, თითქოს, სიბრძნესაც იჩენდა და საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გაგებასაც, სიტყვა მოგვცა და აღგვითქვა, რომ ხელმძღვანელობს და კვლავაც იხელმძღვანელებს იმით, რომ კარგი ურთიერთობა იყოს ჩვენს სახელმწიფოებს შორის.

მერმე კი შევიტყეთ, თუ რა საიდუმლო საქმიანობა განავითარა მან. ხომ იცით, როგორ ინახება საიდუმლოებანი. ვფიქრობ, ეს თვითონ ირანის შაჰმაც იცის. ხოლო თუ არ იცის, მე ვეტყვი, რომ ბევრი საიდუმლო ინახება სულ ბევრი ორიოდე კვირას, შემდეგ კი სულ ერთია, გაიგებენ. ყველას, ვისაც ესა თუ ის საიდუმლო აქვს, ჰყავს უახლოესი ადამიანები, რომლებსაც შეუძლია გაანდოს თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო. მაგრამ თვითეულ ასეთ სანდო პირს თავის მხრივ ჰყავს ასეთი ადამიანები. **(სიცილი დარბაზში).** და მასაც სურს თავის ახლობელს აცნობოს „მხოლოდ საიდუმლოდ", „მხოლოდ მას პირადად და მეტს არავის". და ის კი შემდეგ თავის მეგობარს აცნობებს, და, ამრიგად, მთელი ქვეყანა შეიტყობს ამ საიდუმლოებებს. ამაში არაჩვეულებრივი არაფერია. ეს ყოველთვის ასე იყო და ალბათ ასე იქნება. ზოგი ფიქრობს, საიდუმლოდ ვლაპარაკობო, სხვებმა კი ყოველივე ეს იციან. **(სიცილი დარბაზში).**

ჩვენ როდი გვინდა გავაუარესოთ ურთიერთობა ირანთან. ეს ურთიერთობა ისეც ძალიან ცუდია. ჩვენ გვსურს ურთიერთობის გაუმჯობესება, რადგან რაც უნდა ცუდი იყოს იგი, ჩვენ მეზობლები ვართ. ამრიგად, უმჯობესია ცუდი ურთიერთობა კარგ ურთიერთობად ვაქციოთ, ვიდრე მუდამ ცუდ მეზობლებად ვიცხოვროთ. ეს კეთილგონივრულია. ამიტომ იმედს არ ვკარგავთ, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს.

ირანელ ხალხს შეგნებული აქვს ჩვენი კეთილი განზრახვები, ეს კი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო აწუხებს შაჰს. და შესაწუხებელი მართლაც აქვს. მისი მთავრობა ამ დღეებში ხელს მოაწერს ან უკვე მოაწერა ხელი სამხედრო შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ჩვენ ეს ვიცით, ტექსტი, რომელსაც მათ ხელი უნდა მოაწერონ, ჩვენ გვაქვს. **(სიცილი დარბაზში, ტაში).** რა არის ნათქვამი ამ ტექსტში?

შაჰი ცდილობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრონ მის წინაშე ვალდებულება, რომ დაეხმარებიან მტრების წინააღმდეგ ირანზე აშკარა სამხედრო თავდასხმის დროს აგრესიის, აგრეთვე ძირგამომთხრელი მოქმედების შემთხვევაში. აშკარა თავდასხმა — ეს ნათელია. ვინც ომი დაიწყო, უკანონოდ გადალახა საზღვარი, სწორედ მან ჩაიდინა აგრესია. ხოლო აი ძირგამომთხრელი მოქმედება — ეს სხვა საქმეა. ხომ შეიძლება თვალებში შემოგხედონ და გითხრან, თქვენს თვალებში ჩემი პერსონის წინააღმდეგ აგრესიული განზრახვები იხატებაო. და ამ საფუძვლით სთხოვონ ამერიკას დახმარება, რადგან „შიგნიდან ძირგამომთხრელი საქმიანობა" გამომჟღავნდაო.

ეს აბსურდია, ამხანაგებო. მაგრამ ეს აბსურდია ჩვენი თვალსაზრისით, ხოლო ზოგი ვინმესათვის ეს აბსურდი არ არის. თუ ენდობი შენს ხალხს, როგორც ჩვენ ვენდობით მას, არავითარი გარეშე ძალა შინაგანი ძირგამომთხრელი მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო არ არის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ შინაგანი ძალებიც — სახელმწიფო უშიშროების ჩვენი ორგანოები — მნიშვნელოვნად შევამცირეთ და კიდევ ვაპირებთ მათ შემცირებას, თუმცა საჭიროა გონივრულად შევამციროთ, რათა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი, ღვთის გლახები არ ვიქნეთ. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უცხოეთის დაზვერვას არ სძინავს და, თუ ჩვენ ხვრინვას ამოვუშვებთ, ეს იქნება ყველაზე კარგი დრო, რომ ძირგამომთხრელი მუშაობა აწარმოოს ჩვენს სახელმწიფოში.

მაშასადამე, ძირგამომთხრელი მოქმედების საკითხი არის ბრძოლა შინაური მტრის წინააღმდეგ. თუ დავუბრუნდებით ირან-ამერიკის სამხედრო ხელშეკრულების საკითხს, ვინ არის ეს ეგრეთწოდებული „შინაური მტერი"? როგორც ჩანს, მხედველობაში ჰყავთ ირანელი ხალხი. მაგრამ საკუთარი ხალხისაგან ვერავითარი გარეშე ძალა ვერავის ვერ იხსნის! ხომ იყო გამოცხადებული ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინა შუა და ახლო აღმოსავლეთისათვის, იყო ბაღდადის პაქტიც — კოლონიალიზმის ერთგვარი ციხე-სიმაგრე აღმოსავლეთში. და აი ერთხელ გაიღვიძეს ბ-ნმა დალესმა და პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, ამ ბაღდადის პაქტისაგან კი რქები და ჩლიქებიღა დარჩენილიყო, ხოლო ბაღდადში აღარც მეფე იყო, აღარც პრემიერ-მინისტრი. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ვის მიუძღვის ბრალი ამაში — საბჭოთა კავშირს? ჩვენ არც კი ვესაზღვრებით ამ ქვეყანას, ჩვენ იქ დიდი ხანია ელჩიც კი არა გვყავდა.

როგორც ჩანს, ერაყის ამ ამბების შემდეგ ესიზმრება ირანის შაჰს უსიამოვნო სიზმრები. მაგრამ ჩვენ აქ ვერაფრით ვერ დავეხმარებით. **(სიცილი დარბაზში).** რომ ხორციელდებოდეს პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებს, მაშინ ხალხი მხარს დაუჭერს მას.

ჩვენ არ ვერევით რომელიმე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, რა მთავრობაც უნდა იყოს იქ და რა საშინაო პოლიტიკასაც უნდა ახორციელებდეს. საბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვს ბევრ სახელმწიფოსთან, რომელთა სათავეში მეფეები დგანან, — ჩვენ მივიღეთ ამ სახელმწიფოთა მეთაურები და მოხარული ვართ მივიღოთ ისინი მომავალშიც, თუ ჩამოვლენ ჩვენთან კეთილი ზრახვებით. საბჭოთა კავშირის პურმარილი ყოველთვის იქნება იმ სახელმწიფო მოღვაწეებისათვის, რომლებსაც სურთ მეგობრობა ჩვენს ხალხთან, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხი თვით ხალხების საქმეა.

ირანის შაჰს განზრახვა აქვს დადოს ხელშეკრულება იმ შემთხვევისათვის, თუ მას შეექმნება არახელსაყრელი სიტუაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარონ მას გაუსწორდეს შინაგან ძალებს, რომლებიც იმოქმედებენ მის წინააღმდეგ, ესე იგი დაეხმარონ გაუსწორდეს ირანელ ხალხს.

მაგრამ ირანელი ხალხი უძველესი კულტურის მქონე უძველესი ხალხია, და მას შეგნებული აქვს, საიდან ემუქრებიან, საბჭოთა კავშირი ემუქრება მას თუ თავისი სახელმწიფოს შიგნით აქვს საფრთხე. ნუ ვუკარნახებთ ირანელებს ამას, ისინი ბრძენი ადამიანები არიან და თვითონ კარგად გაერკვევიან ამაში. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

დავუბრუნდები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ მესამე ძალას სურდა გამოეწვია დიდი დაძაბულობა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობაში. ჩვენ ზოგი რამ ვიცით იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ხმარობდნენ ამ მიმართულებით, მაგრამ ახლა არ არის ამაზე ლაპარაკის დრო. როდისმე, თუ შევხვდები პრეზიდენტ ნასერს, მე შევძლებ მეგობრულად ვუთხრა მას, რა რჩევას იღებდა იგი, ვისგან და სახელდობრ რას ურჩევდნენ. ამგვარი საიდუმლოებანი, როგორც მე უკვე აღვნიშნე, იმავე გზით აღწევენ იმათ ყურამდე, ვისაც მათ უმალავენ. მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჩვენი საიდუმლოებაც ალბათ ისევე ვრცელდება, როგორც ეს საიდუმლოებანი. **(სიცილი დარბაზში).**

მე სიამოვნებით წავიკითხე პრეზიდენტ ნასერის გამოსვლა კაიროში რამდენიმე დღის წინათ, სადაც მან მტკიცედ და გადაჭრით თქვა, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმედებს, რომ გაუარესდება და დაირღვევა მეგობრული ურთიერთობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, მტკიცე ნიადაგი როდი აქვს. პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ ამ იმედებს განხორციელება არ უწერია, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პოლიტიკა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ განმტკიცდეს ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. ჩვენ მეტად კმაყოფილი ვართ ასეთი განცხადებებით და ჩვენი მხრივ ვამბობთ, რომ მხარს ვუჭერთ ასეთ პოლიტიკას.

ჩვენ გავუწოდეთ მათ მეგობრობისა და დახმარების ხელი ყველაზე მრისხანე ჟამს, როცა მათ თავს დაესხნენ სუეცის არხის რაიონში. ჩვენ გავუწოდეთ ხელი, როცა მათ ემუქრებოდნენ სირიის კრიზისის დროს.

ჩვენ გავუწოდეთ მეგობრობისა და დახმარების ხელი მაშინაც, როცა ღრუბლები ჩამოწვა ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ ერაყის რევოლუციის შემდეგ. ახლაც ჩვენ იმავე პოზიციებზე ვდგავართ, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიქნებით იმათ მხარეზე, ვინც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის, თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის, თავისი ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებელი განვითარებისათვის. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერაყის რესპუბლიკასთან და გვსურს, რომ ეს ურთიერთობა შემდგომშიც განვითარდეს. ჩვენ არასოდეს არ მიგვიღია სტუმრად და არ გვქონია უშუალო კონტაქტი ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ აბდელ ქერიმ კასემთან, მაგრამ მხარს ვუჭერდით და მხარს ვუჭერთ ერაყის რესპუბლიკის არაბთა მისწრაფებებს თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ხვალ მოსკოვში უნდა ჩამოვიდეს მოლაპარაკებისათვის მთავრობის პასუხისმგებელი დელეგაცია ერაყის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ბატონ კუბას მეთაურობით. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ ამ დელეგაციას და ყველაფრით, რითაც კი შევძლებთ, დავეხმარებით ერაყის რესპუბლიკას.

ჩვენ ყოველთვის შევუწყობთ ხელს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, იმისათვის, რომ მათ შეძლოთ თვითონ ისარგებლონ თავიანთი შრომის ნაყოფით. ვფიქრობ, რომ ასეთი პოლიტიკა არავის არ მოუტანს ზიანს, პირიქით, ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ამხანაგებო! კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს აქვთ ერთი საერთო საქმე, ერთი მიზანი: კომუნიზმის აშენება. პარტიის პოლიტიკა ხალხს მიაჩნია თავისი ძირეული ინტერესების გამოხატულებად, ამიტომ იგი მხარს უჭერს კომუნისტურ პარტიას მთელ მის საქმიანობაში. ხალხის ეს უსაზღვრო ნდობა და განუყოფელი სიყვარული პარტიამ დაიმსახურა თავისი ერთგულებით ხალხის ინტერესებისადმი, თავდადებული ბრძოლით ხალხის ბედნიერებისათვის. პარტია და ხალხი ერთიანი მძლავრი ძალაა, რომელსაც შეუძლია გადალახოს ყველა დაბრკოლება, მოსპოს ყველა დაბრკოლება კომუნიზმის გზაზე. **(მქუხარე ტაში).**

დიდი ხანია უკვე ტრადიციად იქცა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში კომუნისტები და უპარტიოები ერთად ასახელებენ საერთო კანდიდატებს. ამ კარგ, სავსებით გამართლებულ დემოკრატიულ ტრადიციას ყოველთვის მოჰქონდა გამარჯვება პარტიისა და ხალხისათვის. არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი წარმატებით დაგვირგვინდება მომავალ არჩევნებშიც. **(ტაში).**

ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ პარტიას უდიდესი ავტორიტეტი აქვს ხალხში, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ხალხი ხმას აძლევს არა პირებს, არამედ პარტიას". (თხზ., ტ. 26, გვ. 397). ხმას აძლევს რა დასახელებულ კანდიდატებს, ჩვენი ხალხი ითვალისწინებს, რომ, როცა დეპუტატები გახდებიან, ისინი მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელებენ პარტიის ლენინურ ხაზს.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყოფს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას, პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობასა და მონოლითურ შეკავშირებას, ყველა საბჭოთა ადამიანის მხურვალე მისწრაფებას მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება — მშრომელთა ხელისუფლება, ისტორიაში პირველებმა ააშენეს სოციალიზმი, დაიცვეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში.

კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და ძლევამოსილი დროშა, გმირი საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, ყველაზე სამართლიან და მშვენიერ საზოგადოებას დედამიწაზე. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

# საქართველოს მეცნიერთა ამოცანები

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ღია პარტიული კრება

800-ზე მეტი კაცი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, აკადემიის მრავალ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები მოვიდნენ ღია პარტიულ კრებაზე, რომელიც 24 თებერვალს გაიმართა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შედეგებისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, — თქვა მან,— ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, როგორც ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო მოვლენა. მისმა გადაწყვეტილებებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან, ღრმად განაზოგადა რა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია, შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის კონკრეტული გზები. ახალი დიდმნიშვნელოვანი თეორიული დებულებანი, რომლებსაც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და ყრილობის სხვა მასალები შეიცავენ, დიდი წვლილია მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში.

ამხ. მჟავანაძემ დაწვრილებით ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გრანდიოზულ პროგრამაზე. ამ პროგრამას თავისი მასშტაბით ბადალი არ მოეპოვება ისტორიაში. აღმავლობის დიდი პერსპექტივები ისახება შვიდწლედში საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების წინაშე.

— ახლა,—აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, — მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით, კომუნისტური პარტიისათვის, მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყისა და სიხარულის გრძნობით განიხილავს და სწავლობს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაძლიერდა მასების შრომითი ენთუზიაზმი. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით განახორციელონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი.

ამხ. მჟავანაძე შეეხო მეცნიერების მუშაკთა ამოცანებს შვიდწლედის შესრულებაში. პარტია და მთავრობა, — თქვა მან, — უდიდეს ყურადღებას უთმობენ მეცნიერებას. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ საფუძველზე შენდება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც მთელი ჩვენი ცხოვრების საფუძველია, ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების გრანიტულ პრინციპებს.

პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მეცნიერება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული წარმოებასთან, ითვალისწინებდეს მის საჭიროებას, ისწრაფოდეს პრაქტიკულად განახორციელოს მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებმა შეიმუშავეს მთელი რიგი პრობლემები, რომელთაც პრაქტიკული, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა შეიმუშავა ნავთობისაგან ნორიოლის მიღების მეთოდი. უკვე მოეწყო მრეწველობის საჭიროებისათვის ამ ძვირფასი ქიმიური პროდუქტის წარმოება. მეტალურგიის ინსტიტუტის მუშაკებმა შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს ფეროშენადნობთა ელექტროღნობის დახურული ღუმელები, რომლებითაც შესაძლებელი ხდება წარმავალი გაზების დაჭერა, სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია და მუშათა შრომის პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სატყეო ინსტიტუტმა შეიმუშავა გამეჩხერებული ტყის აღდგენისათვის საჭირო დიდრონი ნერგების მოკლე ვადაში გამოყვანის მეთოდი. სატყეო მეურნეობებში ამ მეთოდის დანერგვას მეტად ეფექტიანი შედეგები მოჰყვა. ბოტანიკის ინსტიტუტმა შეადგინა სამეცნიერო-საწარმოო ცნობარი საქართველოს ბუნებრივი საკვების სავარგულთა რაციონალური გამოყენებისა.

ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა სერიოზულ მოთხოვნებზე, რომლებსაც საზოგადოებრივ მეცნიერებას უყენებენ. საზოგადოებრივი მეცნიერების, განსაკუთრებით ეკონომიკის მეცნიერების მეცნიერთა წინაშე დგას ამოცანა — შემოქმედებითად განაზოგადონ და თეორიულად გადაწყვიტონ ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი ამოცანები. საჭიროა ყოველმხრივ გავუკეთოთ ანალიზი უმნიშვნელოვანეს პროცესებს, რომლებიც ხდება კაპიტალისტურ სამყაროში, ვამხილოთ ბურჟუაზიული იდეოლოგია, ვიბრძოლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა რამდენიმე ინსტიტუტის მუშაობა. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლი და ხარვეზი. მთავარი მათგანი არის ფორმალური მიდგომა, ნაკლები მომთხოვნელობა იმ ნაშრომთა შეფასებისადმი, რომელთაც ამ ინსტიტუტების კოლექტივები ასრულებენ. ინსტიტუტებში შექმნილი ყველა ნაშრომის განხილვა ხდება ერთსა და იმავე დროს წლის დამლევს, მეტად მოკლე ვადებში და. ბუნებრივია, ეს ხშირად ზერელედ კეთდება.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მთავარი ამოცანაა მათ მიერ შექმნილი პროდუქციის დონის ამაღლება. მეცნიერული ნაშრომის შეფასებას უნდა მივუდგეთ იმის თვალსაზრისით, თუ როგორია მისი მეცნიერული კვლევის დონე, რას აძლევს ნაშრომი თეორიასა და პრაქტიკას, რამდენად დაძაბულად მუშაობენ, რამდენად სწორად იყენებენ თავიანთ შესაძლებლობას ინსტიტუტების კოლექტივები.

ამხ. მჟავანაძემ თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებს. მეცნიერებათა აკადემიის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ბრძოლა მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის, კონტროლი გაუწიოს მათი ნაშრომების ხარისხს, თვალყური ადევნოს იმას, რომ წარმოებაში დაინერგოს დამთავრებული გამოკვლევები, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი შემოქმედებითი დისკუსიების გამართვას, გაბედული, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მეცნიერთა კადრების სწორი შერჩევა და აღზრდა.

დასასრულ ამხ. მჟავანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ქართველ მეცნიერთა მრავალათასიანი კოლექტივი—საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი მოწინავე რაზმი ყოველ ღონეს იხმარს, რათა წარმატებით განახორციელოს მის წინაშე შვიდწლედში მდგომი ამოცანები.

ქართული მეცნიერების განვითარების საარსებო საკითხებზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. ი. მუსხელიშვილმა,** ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **ვ. ვ. მახალდიანმა,** საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **გ. ვ. წერეთელმა,** მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **ა. ი. ჯანელიძემ,** აკადემიის პარტიული კომიტეტის მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. თ. გობეჯიშვილმა** და სხვებმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა მეცნიერებს შესწევთ უნარი წარმატებით შეასრულონ ყველა ამოცანა, რომლებიც მათ პარტიამ დაუსახა. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობა, განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი პრაქტიკასთან, ფართოდ და გაბედულად დაინერგოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერების უახლესი მიღწევები, გაძლიერდეს ექსპერიმენტული და კონსტრუქტორული მუშაობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ღია პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, განუხრელი ხელმძღვანელობისა და განხორციელებისათვის იღებს მათ. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპუტატობის კანდიდატები

საოლქო საარჩევნო კომისიებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაცია გაუკეთეს: [illegible]

[illegible] № 66 საარჩევნო ოლქში — სამგორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გიორგი მიხეილის-ძე დევდარიანი.**

ალთაღლის № 68 საარჩევნო ოლქში — სამგორის რაიონის სოფელ ყარათალლიის მწველავი **ფურუზა ხალანმედ ყზი მამედოვა.**

ავჭალის № 63 საარჩევნო ოლქში — სამგორის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ მწველავი **თამარ ილარიონის ასული ივანიშვილი.**

მარტყოფის № 64 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სამგორის რაიკომის პირველი მდივანი **დიმიტრი ვასილის-ძე გელაშვილი.**

თამაკონის № 293 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ პროკურორი **მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე.**

ბანძის № 294 საარჩევნო ოლქში — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჭახოდის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **ლენა თევდორეს ასული ფინთურია.**

კასპის № 72 საარჩევნო ოლქში — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ალექსანდრე დიმიტრის-ძე მაჭარაშვილი.**

ახალქალაქის № 73 საარჩევნო ოლქში — კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კოლმეურნეობის მერგოლური **მართა იოსების ასული ბოგველი.**

ქვემო ჭალის № 74 საარჩევნო ოლქში — სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი **ვახტანგ გიორგის-ძე პაპიაშვილი.**

კავთისხევის № 75 საარჩევნო ოლქში — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **თენგიზ ნიკოლოზის-ძე მენთეშაშვილი.**

ყარაღაჯის № 76 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი **გაბრიელ ისაკის-ძე კეჩხუაშვილი;**

ბორჯომ-ბაღის № 96 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რაფიელ რაფიელის-ძე დვალი.**

ბორჯომის № 97 საარჩევნო ოლქში — ბორჯომის შუშის ქარხნის მინისმხარშავი **ივანე ვლადიმერის-ძე შუბითიძე.**

წაღვერის № 98 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი **ჯიბო ნიკოლოზის-ძე ლომაშვილი.**

ლაგოდეხის № 167 საარჩევნო ოლქში — ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ვარლამ თევდორეს-ძე მანაგაძე.**

ვარდისუბნის № 168 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი **პეტრე ნიკოლოზის-ძე ბაქრაძე.**

ბაისუბნის № 169 საარჩევნო ოლქში — ლაგოდეხის რაიონის სოფელ თელის [illegible]

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

[illegible]

წულუკიძის № 239 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი **სერგო ალექსანდრეს-ძე ლეჟავა.**

კუხის № 240 საარჩევნო ოლქში — თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მჭედელი **ვასილ მიხეილის-ძე კორძაძე.**

მათხოჯის № 241 საარჩევნო ოლქში — წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ნინო ნიკოლოზის ასული ბარაბაძე.**

ოფშკვითის № 207 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **მიხეილ ნიკოლოზის-ძე საბაშვილი.**

გეგუთის № 208 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის რაიონის სოფელ ზარათის კოლმეურნეობის წევრი **თინა სამსონის ასული მაღლაფერიძე.**

ქვედა სიმონეთის № 209 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო განყოფილების გამგე **არჩილ ვარლამის-ძე ქირაქაძე.**

ოფურჩხეთის № 210 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის პირველი მდივანი **მელქო ალფეზის-ძე ბიბილაშვილი.**

ხევსურთსოფლის № 147 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს თავმჯდომარე **გრიგოლ დავითის-ძე ჟორჟიკაშვილი.**

ადიგენის № 104 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი **შალვა ონისიმეს-ძე გრძელიშვილი.**

აბასთუმნის № 105 საარჩევნო ოლქში — აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ევგენი კირილეს-ძე ხარაძე.**

დმანისის № 115 საარჩევნო ოლქში — დმანისის რაიონის სოფელ ყიზილქილისის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **გოიჩაკ კადირ ყზი ალიევა.**

გომარეთის № 116 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი **გიორგი ვლადიმერის-ძე რობიტაშვილი.**

ამამლოს № 117 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი **მაჰმუდ ყულის-ძე ყულიევი.**

თეთრი წყაროს № 122 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **ბეჟან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე.**

მანგლისის № 123 საარჩევნო ოლქში — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის მწველავი **ტაისია ნიკოლოზის ასული ფედოსეევა.**

ასურეთის № 124 საარჩევნო ოლქში — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირი **გიორგი უფლისას-ძე გეგეშიძე.**

ქორბუდეულის № 125 საარჩევნო ოლქში — [illegible]

[illegible] **ალექსი გიორგის-ძე ბატიაშვილი.**

ნაფარეულის № 179 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი.**

ჭიათურის — სტალინის № 194 საარჩევნო ოლქში — სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ამწმენდი **ტრიფონ ვარდენის-ძე ფოფხაძე.**

ჭიათურის — ლენინის № 195 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თამაზ ბესარიონის-ძე ჯანელიძე.**

ჭიათურის — კაცხის № 196 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მიხეილ გრიგოლის-ძე ვეფხვაძე.**

ჭიათურის — სვერის № 197 საარჩევნო ოლქში — ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პლატონ სილიონის-ძე აბესაძე.**

ჭიათურის—ზოდის № 198 საარჩევნო ოლქში — სოფელ ზოდის კოლმეურნეობის მწველავი **მარგალიტა ბესარიონის ასული სხირტლაძე.**

ჭიათურის—ნიგოზეთის №199 საარჩევნო ოლქში — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი **შალვა სპირიდონის-ძე შეყლაშვილი.**

თერჯოლის № 204 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი **პავლე პარამონის-ძე სახეჩიძე.**

ჩხარის № 205 საარჩევნო ოლქში — თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის კოლმეურნეობა „სოციალისტური სოფლის“ მეჩაიეთა რგოლის მერგოლური **ნაზი ალექსანდრეს ასული ფანჩულიძე.**

საზანოს № 206 საარჩევნო ოლქში — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს უფროსი **შალვა ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე.**

ქუთაისის — ლენინის № 211 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **აკაკი ალექსის-ძე ვასაძე.**

ქუთაისის — სტალინის № 212 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის მანქანათსაშენებელი ქარხნის მჭედელი **სერგო გიორგის-ძე გელენიძე.**

ქუთაისის — ნინოშვილის № 213 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ოთარ დავითის-ძე გოცირიძე.**

ქუთაისის — მაიაკოვსკის № 214 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი **ნინო სტეფანეს ასული ხათრიძე.**

ქუთაისის — ჭავჭავაძის № 215 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პეტრე იოსების-ძე ჩხობაძე.** (საქდესი).

## საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიურო იუწყება, რომ საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა გაიხსნება დღეს, 26 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 17).



დღეს საბჭოთა საქართველოს ჟურნალისტების ნამდვილი ზეიმია. ისინი შეიკრიბებიან აქ, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, თავიანთ პირველ დამფუძნებელ რესპუბლიკურ ყრილობაზე. მუშა და გლეხი კორესპონდენტები, რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს, რათა მოილაპარაკონ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მათ პრაქტიკულ მონაწილეობაზე, ჟურნალისტთა შემოქმედების საჭირბოროტო საკითხებზე.

რა საამაყოა ატარებდე საბჭოთა პრესის — მსოფლიოში ყველაზე პროგრესული ბეჭდვითი სიტყვის — მუშაკის სახელს. საბჭოთა პრესა ეს ხომ ჭეშმარიტად სახალხო პრესაა. იგი კომუნისტური პარტიის ყველაზე შორსმსროლელი იარაღია, მისი ფხიზელი თვალი და ყური. საბჭოთა პრესა ყოველდღე, ყოველ საათს ესაუბრება მასებს მათთვის გასაგებ ენაზე, რაზმავს მათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

**სურათზე:** საქართველოს ჟურნალისტთა დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები: ვ. ალელიშვილი — ასპინძის რაიონული გაზეთის „სოციალისტური გაზეთის“ რედაქტორი, ნ. ქინქლაძე — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ნატანებელი კოლმეურნეს“ რედაქტორი, ვ. ჯაყელი—მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორი, ნ. ალელიშვილი—ახალქალაქის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის დროშით“ რედაქტორი და ნ. ლუშბა—გუდაუთის რაიონის გაზეთ „კოლექტიური შრომას“ ლიტერატურული მუშაკი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

## ხორცისა და რძის დამზადების (შესყიდვის) 1959 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

(პროცენტობით)

| | ხორცი | რძე |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 51 | 24 |
| აჭარის ასსრ | 85 | 34 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 48 | 55 |
| ახალქალაქის რაიონი | 34 | 39 |
| ბოგდანოვკის | 84 | 82 |
| ახალციხის | 94 | 44 |
| ადიგენის | 154 | 39 |
| ასპინძის | 119 | 85 |
| ხაშურის | 36 | 23 |
| ქარელის | 34 | 29 |
| გორის | 48 | 28 |
| კასპის | 64 | 22 |
| ბორჯომის | 121 | 26 |
| გურჯაანის | 78 | 123 |
| სიღნაღის | 41 | 46 |
| წითელწყაროს | 78 | 137 |
| თელავის | 100 | 67 |
| ახმეტის | 77 | 54 |
| ყვარლის | 51 | 77 |
| ლაგოდეხის | 142 | 115 |
| სამგორის | 49 | 48 |
| მცხეთის | 51 | 70 |
| მარნეულის | 42 | 45 |
| ბოლნისის | 103 | 72 |
| წალკის | 32 | 55 |
| დუშეთის | 14 | 28 |
| თეთრიწყაროს | 103 | 42 |
| საგარეჯოს | 40 | 52 |
| დმანისის | 58 | 69 |
| თიანეთის | 47 | 17 |
| ყაზბეგის | — | 14 |
| ქუთაისის | 101 | 49 |
| წყალტუბოს | 100 | 37 |
| სამტრედიის | 271 | 50 |
| წულუკიძის | 113 | 83 |
| ვანის | 39 | 46 |
| მაიაკოვსკის | 71 | 37 |
| ზესტაფონის | 60 | 36 |
| თერჯოლის | 77 | 14 |
| ქ. ჭიათურა | 95 | 21 |
| საჩხერის რაიონი | 113 | 37 |
| ორჯონიკიძის | 64 | 49 |
| ტყიბულის | 242 | 21 |
| ონის | 91 | 22 |
| ამბროლაურის | 90 | 36 |
| ცაგერის | 54 | — |
| ლენტეხის | — | — |
| აბაშის | 112 | 57 |
| ცხაკაიას | 75 | 30 |
| გეგეჭკორის | 31 | 24 |
| ზუგდიდის | 44 | 43 |
| ხობის | 94 | 22 |
| წალენჯიხის | 53 | 9 |
| ჩხოროწყუს | 114 | 16 |
| მახარაძის | 131 | 100 |
| ლანჩხუთის | 196 | 106 |
| ჩოხატაურის | 159 | 156 |
| მესტიის | — | — |
| ქ. ფოთი | 64 | 50 |
| სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში | 69 | 53 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

## დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. მაკმილანი ეწვია ატომგულის კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტს

24 თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი და სხვა ინგლისელი სტუმრები ეწვივნენ უდიდეს საერთაშორისო საკვლევ ცენტრს—ატომგულის კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტს.

მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ს. ემელიანოვი და გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ი. ბლოხინცევი. დირექტორმა მათ წარუდგინა ინსტიტუტის ვიცე-დირექტორები პროფესორი ვან გან-ჩანი (ჩინეთი), პროფესორი ემილ ჯაკოვი (ბულგარეთი), აგრეთვე საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები.

პროფესორმა ბლოხინცევმა სტუმრებს გააცნო ისტორია ინსტიტუტისა, რომელიც 1956 წელს შეიქმნა თერთმეტი სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, რომლებსაც მალე შეუერთდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

შემდეგ პროფესორმა ბლოხინცევმა მიიწვია სტუმრები ლაბორატორიის დასათვალიერებლად. ბ. ნ. მაკმილანთან ერთად ინსტიტუტის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა ჟურნალისტმა და ფოტო და კინორეპორტიორმა.

ინსტიტუტის გაცნობა დაიწყო ატომგულის პრობლემათა ლაბორატორიით. ლაბორატორიის დირექტორმა პროფესორმა ვ. პ. ჯელეპოვმა ყველანი მიიწვია სინქროციკლოტრონის დარბაზში. მან სტუმრებს აუხსნა, თუ როგორია ამჩქარებლისა და მრავალი საკვლევი ხელსაწყოს მოწყობილობა, რომელთა საშუალებით ფიზიკოსები, იყენებენ რა დაჩქარებულ ნაწილაკთა კონებს, ახორციელებენ მრავალ ექსპერიმენტს.

შემდეგ სტუმრები წავიდნენ მაღალ ენერგიათა ლაბორატორიაში, სადაც მუშაობს დამუხტულ ნაწილაკთა მსოფლიოში უდიდესი ამჩქარებელი — სინქროფაზოტრონი. ამ საოცარი მანქანის შემქმნელმა აკადემიკოსმა ვ. ი. ვექსლერმა ბ-ნ მაკმილანსა და მის თანმხლებ პირებს აუხსნა ამჩქარებლის მუშაობის პრინციპი.

სტუმრები ავიდნენ ფოლადის ხიდზე, რომელიც გადებულია სინქროფაზოტრონის გიგანტურ რკალზე. იქიდან მათ შეეძლოთ დაეთვალიერებინათ მთელი ეს მანქანა, რომელიც ადამიანის გენიის შესანიშნავი ქმნილებაა. აჩქარების ერთი ციკლის განმავლობაში, რომელიც სამ მთელ და სამ მეათედ წამს გრძელდება, პროტონები ამჩქარებლის რკალურ კამერაში გაირბენენ გზას, რომელიც უდრის ორმაგ მანძილს დედამიწიდან მთვარემდე, მოძრაობენ რა ამასთან თითქმის სინათლის სიჩქარით. ისინი იძენენ ისეთ ენერგიას, როგორსაც მსოფლიოს ვერც ერთ სხვა ინსტიტუტში ხელოვნურად ვერ შექმნის ადამიანი. დაახლოებით ათობით მილიარდი ელექტრონვოლტის კოსმოსურ ენერგიებამდე აჩქარებული ამ ნაწილაკების საშუალებით ფიზიკოსები ამსხვრევენ გამოსაკვლევი ნივთიერების ატომგულებს, სწავლობენ თავიანთი ცდების შედეგებს, ავსებენ ადამიანის ცოდნის საგანძურს.

სტუმრებმა დაათვალიერეს სინქროფაზოტრონის უმნიშვნელოვანესი კვანძები. შემდეგ ისინი იყვნენ ენერგეტიკულ კორპუსში, ელექტრონიკის დარბაზში და მართვის მთავარ პულტზე, საიდანაც დისტანციურად წარმოებს ამჩქარებლის მართვა და ენერგეტიკული კვება.

ლაბორატორიების დათვალიერების შემდეგ ინსტიტუტის დირექციამ საუზმე გამართა ჰაროლდ მაკმილანისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად.

საუზმემ, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები, რომლებიც დუბნაში მუშაობენ, მეგობრულ, გულწრფელ ვითარებაში ჩაიარა (საკდესი).

# თვალსაჩინო რევოლუციონერი და პედაგოგი

**ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 90 წლისთავისათვის**

დღეს სრულდება 90 წელი კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის, ვ. ი. ლენინის მეუღლის, მეგობრისა და თანაშემწის — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას დაბადებიდან.

რევოლუციური მოღვაწეობა ნ. კ. კრუპსკაიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. ახალგაზრდა, ოცი წლის ქალიშვილი იყო, როცა გაეცნო მარქსის მოძღვრებას და მას შემდეგ მთელი თავისი ძალღონე ხალხის სამსახურს მოახმარა. „მარქსიზმმა, — წერდა შემდეგში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, — მომანიჭა უდიდესი ბედნიერება, რომელიც კი შეიძლება ინატროს ადამიანმა: იმის ცოდნა, თუ რა გზით მევლო, იმ საქმის გამარჯვების გულდაჯერებული რწმენა, რომელსაც ჩემი სიცოცხლე დავუკავშირე“.

1891 წელს ნ. კ. კრუპსკაია უშუალო კავშირს ამყარებს მუშებთან, აჩაღებს მათ შორის მარქსიზმის იდეების პროპაგანდას. ამ მიზნით იგი პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საკვირაო საღამოს სკოლაში პეტერბურგში.

გაეცნო რა ვ. ი. ლენინს 1894 წელს მარქსისტულ წრეში, სადაც მაშინ კითხულობდნენ ლენინის წიგნს „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, ნ. კ. კრუპსკაია გახდა მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ერთგული მეგობარი და საიმედო თანაშემწე. „ამ დროიდან, — წერდა იგი შემდეგ ,— ჩემი ცხოვრება კვალდაკვალ მიჰყვებოდა მის ცხოვრებას, და მე ვეხმარებოდი მას მუშაობაში რითაც და როგორც შემეძლო“.

ვლადიმერ ილიას-ძის ხელმძღვანელობით ნ. კ. კრუპსკაია დიდ მუშაობას ეწეოდა ლენინურ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“, რისთვისაც 1896 წელს ლენინთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. ემიგრაციის წლებში იგი იყო ლენინის მიერ შექმნილ გაზეთ „ისკრის“, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გაზეთების „ვპერიოდისა“ და „პროლეტარის“ რედაქციის მდივანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ნაწილის მდივანი.

1917 წელს ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად რუსეთში რომ დაბრუნდა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მაშინვე ჩაება პარტიულ მუშაობაში.

ნ. კ. კრუპსკაიამ განსაკუთრებით ბევრი გააკეთა სახალხო განათლების დარგში. ჯერ კიდევ შორეულ რევოლუციამდელ წლებში, ამხილებდა რა ბურჟუაზიული სკოლის ფარისევლურ ხასიათს, იგი ოცნებობდა ფართო სახალხო განათლებაზე, გამოთქვამდა რწმენას, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი ააშენებს ახალ სკოლას, რომელშიც ყველა მშრომელი და მათი შვილები მიიღებენ ნამდვილ მეცნიერულ ცოდნას, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ გახდნენ საკუთარი ცხოვრების ბატონები, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

თავის პირველ ბროშურაში „მუშა ქალი“, რომელიც ციმბირის გადასახლებაში დაწერა, ნ. კ. კრუპსკაია, ხატავდა რა მომავალი სკოლის კონტურებს, წერდა: „სოციალისტურ საზოგადოებაში სკოლა, რა თქმა უნდა, ახლანდელ სკოლას არ ემგვანება. მომავალ სკოლაში მოსწავლეები შეიძენენ გაცილებით მეტ ცოდნას, ისინი ამავე დროს მიეჩვევიან სკოლაში ნაყოფიერ შრომასაც, ხოლო რაც მთავარია, სკოლა არა მარტო ასწავლის მათ, არამედ განუვითარებს მთელ სულიერ და ფიზიკურ ძალებს, აღზრდის მათ სასარგებლო, ენერგიულ მოქალაქეებად“.



ყველაზე თვალსაჩინო წვლილი მარქსისტულ-ლენინურ პედაგოგიკურ მეცნიერებაში იყო ნ. კ. კრუპსკაიას წიგნი „სახალხო განათლება და დემოკრატია“. ამ წიგნში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მოგვცა ბურჟუაზიული სკოლის ღრმა მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა, ანალიზი გაუკეთა და შეფასება მისცა ყოველივე საუკეთესოს, რაც მოიპოვებოდა პროგრესული მოაზროვნეების მოძღვრებაში აღზრდის შესახებ, და დასახა ძირითადი ამოცანები სახალხო განათლების დარგში, რომლებიც პროლეტარიატის წინაშე დადგებოდა მისი გამარჯვების შემდეგ.

ნ. კ. კრუპსკაია იყო კომუნისტური პარტიის მომზადებული, მარქსისტულად შეიარაღებული მოღვაწე სახალხო განათლების საკითხებში. და შემთხვევითი როდია, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სწორედ იგი გახდა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ახალი სკოლის მშენებლობას თავიდანვე გადაეღობა მთელი რიგი ფრიად სერიოზული სიძნელენი. საკმაო არ იყო სასკოლო შენობები და ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც შეთვისებული ჰქონდათ ახალი ამოცანები, არ იყო სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები, სასკოლო ნივთები და ბევრი სხვა რამ. განათლების სახალხო კომისარიატში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ნ. კ. კრუპსკაიასთან მიდიოდნენ წარმომადგენლები, მას მისდიოდა მრავალი წერილი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მასწავლებლებისაგან, რომლებიც სთხოვდნენ დახმარებასა და რჩევას სახალხო განათლების დაყენებაში.

„მაგრამ ამ საქმის არა მარტო დეტალები, არამედ ბევრი დიდმნიშვნელოვანი დარგიც ჯერ კიდევ არავინ არ იცოდა,— წერდა განათლების პირველი სახალხო კომისარი ა. ვ. ლუნაჩარსკი. ამ პირობებში უძვირფასესი გარემოება ის იყო, რომ განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი მთავარი ან იქნებ უმთავრესი მოქმედი პირი პირველივე დღეებიდანვე ნ. კ. კრუპსკაია აღმოჩნდა.

„...ჩვენ იმედით შევყურებდით ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, იმიტომ რომ მას მართლაც შეეძლო ბევრი რამ ეთქვა ამ დარგში, მაშინ როცა სხვებს ჯერ კიდევ უხდებოდათ მარჩიელობა, გზების ძებნა, ცხოვრებისაგან სწავლა“.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის აზრით, სწავლების მთელ სისტემას საფუძვლად უნდა დასდებოდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი. იგი მკვეთრად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ ბავშვები ჩაეკეტნათ სკოლის კედლებში, მოეწყვიტათ სწავლება ცხოვრებისაგან. საჭიროა მოსწავლეს ვასწავლოთ დამოუკიდებლად აზროვნებდეს, კოლექტიურად მოქმედებდეს, იჩენდეს შემოქმედების, ინიციატივისა და თვითმოქმედების მაქსიმუმს. „ჩვენ, — წერდა იგი, — უნდა ვზრდიდეთ ადამიანს, რომელიც დაუფლებულია საერთო შრომითს კულტურას, აქვს პოლიტექნიკური ჰორიზონტი, უნარი შესწევს ერთ მთლიანობად შეაკავშიროს შრომა და ცოდნა“.

კომუნისტური პარტია მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლაში სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების გაუმჯობესებას, ცდილობდა სულ უფრო მეტად მიეახლოებინა იგი ცხოვრებასთან. გასულ წელს პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც მთელმა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა. ჩვენი სკოლის დიდი რეფორმის განხორციელებაში პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, განათლების მრავალრიცხოვან მუშაკებს დიდ დახმარებას გაუწევს ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიკური მემკვიდრეობა.

ნ. კ. კრუპსკაიას თვალსაჩინო როლი ეკუთვნის სკოლისგარეშე განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში. განათლების სახალხო კომისარიატის შექმნის პირველი დღეებიდანვე იგი დანიშნულ იქნა განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და სკოლისგარეშე განყოფილების გამგედ, ხოლო 1920 წელს — პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარედ. ჩვენი ქვეყნის სრულასაკოვანი მოსახლეობის კულტურული განათლების დარგში მთელ თავის მოღვაწეობაში ნ. კ. კრუპსკაია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებებით, პარტიის გადაწყვეტილებებით.

„სკოლისგარეშე განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ცხოვრების გარდასაქმნელად. საჭიროა ახალი გზები ვეძიოთ“. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებების შესაბამისად პარტიის X ყრილობამ პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს დააკისრა დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა — კომუნიზმის იდეების პროპაგანდა ხალხში. ნ. კ. კრუპსკაიას ხელმძღვანელობით პოლიტიკური განათლების მთავარმა სამმართველომ თავის გავლენაში მოაქცია კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა პროფკავშირებში, კომკავშირში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მოაწყო ჟურნალების, ბიულეტენების გამოშვება და ა. შ.

ნ. კ. კრუპსკაიას პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა მიაჩნდა საბჭოთა წყობილების განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ნაწილად.

პოლიტიკური განათლების დარგის მუშაკი, გვასწავლიდა ნ. კ. კრუპსკაია, ყველაფერს უნდა აქცევდეს ყურადღებას, მას ყველაფერი უნდა აღელვებდეს, იგი ინტერესით უნდა ეკიდებოდეს ყველაფერს, რაც ხალხის ინტერესებს ეხება.

სკოლისგარეშე განათლების ორგანოები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგშიც. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საგანგებო კომისია.

ნ. კ. კრუპსკაიას პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მრავალმხრივია. იგი მონაწილეობდა ლენინური კომკავშირის შექმნაში, პიონერული მოძრაობის ორგანიზაციაში, ქალების განთავისუფლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმისათვის ბრძოლაში. ხალხის წინაშე დამსახურებისათვის ნ. კ. კრუპსკაია დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. იგი იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, ხოლო XV ყრილობიდან — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ხალხი ირჩევდა მას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად. პედაგოგიკურ მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ნ. კ. კრუპსკაიას მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო მეცნიერებმა იგი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

საბჭოთა ადამიანები პატივს სცემენ ნ. კ. კრუპსკაიას ნათელ ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა რუსეთის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლას. ყველაზე უკეთ ეს გამოთქვა ა. მ. გორკიმ თავის ერთ-ერთ წერილში ნ. კ. კრუპსკაიასადმი: „...თქვენ თვითონაც კარგად იცით, რა ძნელი და დიდებული იყო თქვენი გზა, რა ბევრი იშრომეთ რევოლუციის საქმეში“.

**გ. ცოვიანოვი.**

# საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ინდოეთში

**დელი,** 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ა. ა. ანდრეევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. მუხიტდინოვის, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ი. კუჭავასა და სხვათა შემადგენლობით ვიზიტი გაუკეთა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს.

ინდოეთის პრემიერ - მინისტრმა საბჭოთა დელეგაცია მიიღო თავის კაბინეტში პარლამენტის შენობაში. პრემიერ-მინისტრ ნერუსა და საბჭოთა დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეტად გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბარმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა. საუბრის დროს საბჭოთა დელეგაციამ პრემიერ-მინისტრ ნერუს გულითადი სალამი გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისაგან. პრემიერ - მინისტრმა ნერუმ გულთბილი მადლობა გამოთქვა მეგობრული სურვილებისათვის, რომელიც მას გადასცეს კ. ე. ვოროშილოვისა და ნ. ს. ხრუშჩოვისაგან. საბჭოთა დელეგაციამ პრემიერ-მინისტრ ნერუს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პირადი წერილი. საუბრის მსვლელობაში შეეხნენ სხვადასხვა საკითხს, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ.

* * *

**დელი,** 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ სადილი გამართა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა და სხვები. ინდოეთის მხრივ სადილზე იყვნენ ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის თავმჯდომარე ა. აიანგარი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სადილის შემდეგ პრემიერ-მინისტრ ნერუსა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა ხანგრძლივი გულთბილი საუბარი.

* * *

**დელი,** 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ა. ა. ანდრეევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. მუხიტდინოვის, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ი. კუჭავას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური კავშირურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრის ა. გ. შერემეტიევისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგის ვ. ი. ლიხაჩოვის შემადგენლობით ინახულა რაჯგჰატი — მაჰათმა განდის კრემაციის ადგილი და გვირგვინით შეამკო იგი. საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებმა მწუხარე დუმილით პატივი სცეს ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ხსოვნას. გვირგვინზეა წარწერა რუსულ ენაზე და ჰინდი ენაზე „საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია“.

გვირგვინით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში პ. კ. პონომარენკო. ინდოეთის მხრივ საბჭოთა დელეგაციას ახლდნენ ქალაქ დელის მთავარი კომისრის მოადგილე ჩ. ბ. დუბეი და ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის მოადგილე დ. ს. კპოსლა.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64,-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 01359 საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.